ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 10 სექტემბერი, 2018 №214 (7759) ფასი: 60 თეთრი

საქართველომ ლატვიას მოუგო და ჯგუფის ლიდერი გახდა

გვ.10

„ოცნება“ საპრეზიდენტო არჩევნებში სალომე ზურაბიშვილს დაუჭერს მხარს

გვ.2

რატომ უთხრა ივანიშვილმა უარი გიორგი შენგელაიას

მიხეილ ჯანელიძეზე მასალები პროკურატურას გადაეგზავნა

გვ.7

შვილმოკლული მამები საპროტესტო აქციებს იწყებენ

გვ.2

აფხაზთა პრემიერი ავარიაში დაიღუპა

გვ.3

გაიზიარებს თუ არა მამუკა ბახტაძე გიორგი კვირიკაშვილის ბედს

სამართალი

გვ.7

ავთანდილ ხურციძეს ნიუ იორკის სასამართლომ 10 წლით პატიმრობა მიუსაჯა





თავდაცვის სამინისტროს იურისტ დავით ღვინიაშვილს სავალუტო ჯიხურის გაძარცვას ედავებიან



გახმაურებული საქმეების პროკურორებმა 30 ბინა გაინაწილეს

9-სართულიანი კორპუსი პრესტიჟულ უბანში

ეკონომიკა

გვ.3

დარიალის ხეობაში 2-კილომეტრიანი ახალი გვირაბი გაიხსნა

3 ფერმერი ქალის ბიზნესი მსოფლიო ბანკის პასუხზეა დამოკიდებული

გვ.6

საქართველოში სახიფათო ნარჩენების იმპორტი აიკრძალება

ISSN 1987-9385

5 ბედუკაძე ივანიშვილის წინააღმდეგ „მიშაზე უარესი მოგელის შენ“

2 გურულები კომპენსაციებს ითხოვენ

4 ცვლის თუ არა პუტინი პოლიტიკას კავკასიაში

8 უკრაინულმა ეკლესიამ ავტოკეფალიისკენ სერიოზული ნაბიჯი გადადგა
რუსეთის საპატრიარქო იმუქრება

შვილმოკლული მამები საპროტესტო აქციებს იწყებენ

გაიზიარებს თუ არა მამუკა ბახტაძე გიორგი კვირიკაშვილის ბედს

შორენა მარსაგიშვილი

თბილისში აქციები იწყება – შვილმოკლული მშობლები სამართლის პოვნას პოლიტიკოსების გარეშე აპირებენ. აქცია, რომლის ორგანიზატორები ზაზა სარალიძე და მალხაზ მაჩალიკაშვილი არიან, დღეს, 10 სექტემბერს, პარლამენტის წინ გაიმართება.

აქცია 18.00 საათზე დაიწყება.



აქციის წინა დღეს შვილმოკლულმა მამებმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართეს, სადაც იმ მიზეზებზე ისაუბრეს, რომლებმაც ისინი აიძულა, ქუჩაში გასულიყვნენ.

მალხაზ მაჩალიკაშვილი და ზაზა სარალიძე მიიჩნევენ, რომ საზოგადოება ამ პროტესტს აუცილებლად უნდა შეუერთდეს. მათი თქმით, ეს აქციები ბევრი ახალგაზრდის სიცოცხლეს გადაარჩენს.

ზაზა სარალიძე „ქართულ ოცნებას“ მკვლელების მფარველობაში ადანაშაულებს და მიიჩნევს, რომ მმართველმა პარტიამ მის შვილს სულში ჩააფურთხა.

მისი თქმით, ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მკვლელები არ გამოვლენილიყვნენ.

– ბავშვი დამიჩეხეს და იმას მეუბნებიან, რომ მკვლელი ბუნებაში არ არსებობს. იძულებული ვარ, ისევ აქციების დახმარებით ვეძებო სამართალი.

აქციები დაიწყება 10 სექტემბრიდან და არ დასრულდება მანამ, სანამ არ დაინგრევა სისტემა, ვინაიდან სისტემა კლავს. ამიტომ უნდა შემოგვიერთდეს საზოგადოება, რომ რომელიმე მათგანი არ გახდეს მსხვერპლი. სულში ჩაფურთხებაა ის განცხადებები, რომლებიც გაკეთდა მდინარაძის, ბესელიასა და ოხანაშვილის მხრიდან, – აღნიშნა ზაზა სარალიძემ.

ბოლომდე აპირებს ბრძოლას მალხაზ მაჩალიკაშვილიც. ის ხელისუფლებისგან თავისი შვილის მკვლელების დასჯასა და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩამოყვანას ითხოვს.

მისი თქმით, „ქართულმა ოცნებამ“ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ისინი სტრასბურში არ წასულიყვნენ. აგვისტოში შვილმოკლული მშობლები სტრასბურში მიდიოდნენ. ვიზიტამდე ერთი დღით ადრე გაარკვიეს, რომ მაჩალიკაშვილს ქართული მხარე ტერორიზმთან კავშირს სდებდა ბრალად და ამის შესახებ ევროპელ სამართალდამცავებს აცნობეს.

მალხაზ მაჩალიკაშვილის აზრით, აუცილებელია, საერთაშორისო თანამეგობრობამ გაიგოს, რა ხდება საქართველოში და ამბობს, რომ უცხოელებს ყველა დოკუმენტს გადასცემს, სადაც ნათლად ჩანს, რომ სისტემა კლავს.

ზაზა სარალიძის მსგავსად, საზოგადოებას მხარდაჭერას ისიც სთხოვს.

– მივმართავ საზოგადოებას, მათ შორის, „ქართული ოცნების“ იმ წევრებს, რომლებსაც ჯერ კიდევ შემორჩათ ნამუსი, დაგვიდგნენ გვერდით და ერთად გავაპროტესტოთ უსამართლობა. ჩვენ არ გავჩერდებით მანამ, სანამ ეს ყველაფერი ლოგიკურ დასასრულამდე არ მივა, ვინაიდან ეს არის გარდამტეხი ბრძოლა. ასევე, მოვითხოვთ, რომ ის ადამიანები, რომლებთან შეხვედრაც დაგეგმილი გვქონდა საზღვარგარეთ და რომელიც ჩაშალა ჩვენმა ხელისუფლებამ, ჩამოვიდნენ საქართველოში და მათ ამაში ხელი არავინ შეუშალოს. ჩვენ მათ მივაწვდით ყველა იმ ინფორმაციას, რომლებიც აჩენს დიდ კითხვის ნიშნებს. სისტემა უნდა დაინგრეს, – აღნიშნა მაჩალიკაშვილმა.

ამ აქციას სხვა შვილმოკლული მშობლებიც შეუერთდებიან. აქციებში მონაწილეობას აპირებენ პანკისელებიც.

პანკისის მოსახლეობის ნაწილმა ეს გადაწყვეტილება რამდენიმე დღის წინ შეკრებაზე მიიღო. ამ შეკრებაზე უხუცესებისა და ახალგაზრდების ახალი საბჭო შეიქმნა, რომელსაც 78 წლის სალმან გაურგაშვილი უხელმძღვანელებს.

❖ ❖ ❖

შვილმოკლულმა მშობლებმა პირველი აქცია 31 მაისს გამართეს. აქციამ იმ დღესვე გამოიღო შედეგი და მთავარი პროკურორი გადადგა.

პროტესტი ამის შემდეგაც არ შეწყვეტილა და უფრო მასშტაბური სახე მიიღო. ხალხთან მოსალაპარაკებლად მისულ აწ უკვე ყოფილ პრემიერს ბოთლები დაუშინეს.

გიორგი კვირიკაშვილის თანამდებობა ამ აქციებმა შეინირა. აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი, ზვიად კუპრავა, მიიჩნევს რომ საშემოდგომო აქციები უკვე მამუკა ბახტაძეს შეინირავს.

„ოცნება“ საპრეზიდენტო არჩევნებში სალომე ზურაბიშვილს დაუჭერს მხარს

რატომ უთხრა ივანიშვილმა უარი გიორგი შენგელაიას

შორენა მარსაგიშვილი

რამდენიმეთვიანი მტანჯველი მოლოდინი დასრულდა – „ქართულმა ოცნებამ“ საპრეზიდენტო არჩევნებში თავისი ფავორიტი დაასახელა. როგორც მოსალოდნელი იყო, „ოცნების“ რჩეული სალომე ზურაბიშვილი აღმოჩნდა.

ზურაბიშვილი რომ „ოცნების“ კანდიდატი იქნებოდა, ამაზე უკვე დიდი ხანია, მიდის საუბარი. „ახალი თაობა“ ჯერ კიდევ მარტში წერდა, რომ „ოცნება“ პრეზიდენტობის კანდიდატად ქალს დაასახელებდა და ეს ქალი ზურაბიშვილი იქნებოდა.

ისიც უნდა ითქვას, რომ მეოცნებეები ქალზე მას შემდეგ ჩაიციკლნენ, რაც კაცებმა კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარი თქვეს.

„ოცნების“ კულუარებში ამბობენ, რომ ივანიშვილს ოთხმა პიროვნებამ უთხრა უარი. ცნობილი მხოლოდ ორი უარისმთქმელის ვინაობაა – დავით მაღრაძე და ლადო ჭანტურია. დანარჩენი ორი მკაცრად არის გასაიდუმლოებული.

სალომე ზურაბიშვილთან დაკავშირებით პარტიაში ერთგვაროვანი დამოკიდებულება არ ყოფილა. დეპუტატების ნაწილი მიიჩნევდა, რომ პარტიამ ან თავისი კანდიდატი უნდა წარადგინოს, ან საერთოდ გაერიდოს ამ პროცესს.

ასეთები პარტიაში მრავლად არიან, მაგრამ, რადგან იმ ბრძენმა კაცმა ასე გადაწყვიტა, წინააღმდეგი ვინ წავიდოდა.

ერსა და ბერს გადაწყვეტილება პარლამენტის თავმჯდომარემ ამცნო.

– „ქართული ოცნების“ გუნდის სრული მხარდაჭერა სალომე ზურაბიშვილის მიმართ უზრუნველყოფილი იქნება, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მისი თქმით, სალომე ზურაბიშვილი არის პრეზიდენტობის ყველაზე ღირსეული დამოუკიდებელი კანდიდატი, რომელსაც შეუძლია, საპრეზიდენტო უფლებამოსილებები სათანადოდ განახორციელოს.

კითხვაზე, ექნება თუ არა ზურაბიშვილს ფინანსური მხარდაჭერა „ქართული ოცნებისგან“, კობახიძემ განმარტა, რომ პარტია ზურაბიშვილს მხარს დაუჭერს კანონით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი ღონისძიების ფარგლებში.

პარლამენტის სპიკერს სხვა კითხვებზეც მოუწია პასუხი. ჟურნალისტებს აინტერესებდათ, რას ფიქრობდა პარტია ზურაბიშვილის განცხადებაზე, რომელიც მან აგვისტოს ომზე გააკეთა. „ოცნების“ რჩეულმა თქვა, რომ ომი საქართველომ დაიწყო.

კობახიძის თქმით, საპრეზიდენ-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

გურულები კომპენსაციებს ითხოვენ

გურია წელს სერიოზული პრობლემის წინაშე დგას. მოსავალი, რომლითაც გლეხს თავი გაჰქონდა, ფაროსანამ გაანადგურა. არც თხილი, არც ბოსტანი, არც სიმინდი და პურის ფული, გლეხები ზამთარს შიშით ხვდებიან.

მოსალოდნელ შიმშილობას მთავრობა, როგორც ჩანს, არასერიოზულად უყურებს და უყველაფროდ დარჩენილი გურული გლეხებისთვის რამე ტიპის ფინანსურ დახმარებაზე არც ფიქრობს. მაგალითად, საკრებულომ ოპოზიციის მიერ დაყენებული საკითხი, რომ გურულებისთვის კომპენსაციების მიცემაზე მთავრობისთვის წერილობით მიემართათ, სხდომაზე არც განიხილა, ისე ჩააგდო.

როგორ აფასებენ ადგილობრივები მთავრობის დამოკიდებულებას მათი გასაჭირის მიმართ? – ამ კითხვით „გურიის მოამბემ“ რამდენიმე ოზურგეთელს მიმართა:

ნორა მუკბანიანი:

– რადგან კომპენსაციაზე არ ფიქრობს ეს მთავრობა, ამიტომ არ ვაძლევთ ხმას ამ არჩევნებზე. ხალხს საჭმელი არა აქვს, ბებია. მეცოდება ხალხი. მე მცირე მეწარმე ვარ, როცა ადამიანი შემოდის მაღაზიაში და იწყებს ტირილს, ფული არ მაქვსო, 10- ლარიანს 2 ლარში ვაძლევ. ასე მითხრა კლიენტმა, კუჭი ვერ ამოვიკერეო, კაბა ამოვიკერე და ისე ჩავიცვიო, არ მრცხვენიაო. ოზურგეთს რომ უჭირს, ბებია, ისე არც ერთ ქალაქს არ უჭირს. რაცხას ახერხებს ხალხი, თურქეთში გადის და წვალობს და თავი გააქვს, მარა მე სად წავიდე? 75 წლის ქალი ვარ.

ხალხს გაუჭირდა, ხალხი მშიერია. ვთხოვ ამ მთავრობას – ივანიშვილს, მარგველაშვილს, რომ შეხედონ ოზურგეთს. 3.500 მეტრო თხილი მაქვს და ყრია ძირში. იგი რო მოვხიკო, აზრი არა აქვს. კაცმა 10 მეშოკი ჩააბარა და 30 ლარი მისცეს. მე რომ ვიარო მოსახეკად, ბენზინის ფულს ვერ გავაკეთებ. ნადი რომ მივიხმარო, 30 ლარი უნდა, იმის გარდა, სადილი უნდა. თხილის პუნქტები არ ღებულობს ცუდ თხილს. ავირჩევთ კი არა, გადევირჩევთ ამ მთავრობას. აგენი ყველა უნდა ჩააწყო ვაგონში და გოუშვა საზღვარგარეთ. დახმარებას არ აძლევენ ხალხს. ფაროსანას მოწამვლამ რა უქნა ვენახს – გაკოხა, ჩამოყარა ფოთოლი. ლობიო გააფუჭა, პამიდორი გააფუჭა, რა წამალი, რის წამალი. ხალხს დაურიგონ ცოტა დახმარება, თუ არა, არჩევნები კი არა, ჩააჯენენ ვაგონში და გოუშობენ.

40 მილიონი დაჯდა წამალიო და რომელ ჯიბეში ჩაასრიალეს ამდენი ფულები? ყანებიც აღარ აქვს ხალხს დათესილი. რაც იყო დათესილი, ისიც ფაროსანამ შეჭამა. ამ ხალხს გული აქვს გატეხილი. თოხნის, თოხნის და არაფერი შედეგი არაა. სასუქი კი ღირს 50 და 60 ლარი, ტრაქტორი, საწვავი და მე არ ვიცი, წელს რომ წელინადი იქნება, ჩემს მტერს. ჩემზე კარგად იცის ივანიშვილმაც, მარგველაშვილმაც, რაფერ უჭირს ხალხს, განსაკუთრებით კი – ოზურგეთს. სამარცხვინოდ, 200 ლარამდე ვერ გაზარდეს პენსია. მაგენი რაის არჩევას მეუბნებიენ. ევირჩევ კი არა, ჩავაჯენ მატარებელში და გოუშობ.

რუსო ქუტიძე:

– კომპენსაციაზე უარის თქმა მივა იმ შედეგამდე, რომ დაწყდება ხალხი. ეს ზამთარი, მე არ ვიცი, რა იქნება. ერთი ადამიანი მეორეს გამოაცლის ლუკმას პირიდან. გაიძახიან, ხალხმა არასწორად მოწამლაო, მაგრამ, ვინც არ მოწამლა, იმათმა რა ქნას? ერთჯერადი დახმარება მაინც მისცენ ხალხს, რომ რაღაცა სასკოლოდ უყიდონ ბავშვებს, ელემენტარულად, რვეული და ჩანთა. ჩემ ირგვლივ სოფელში, ნაგომარში, ყველას მაგი პრობლემა აქვს.

ნანული ზაქარიაძე:

– კომპენსაცია უნდა გადაიხადოს მთავრობამ აუცილებლად. წელს 4 ლარი ღირს 1 კგ ლობიო, არაფერი არ არსებობს. ეგერ კახეთიდან მოაქვენ და ადგილობრივი ნაწარმი საერთოდ არაა. რა ქნას ამ საცოდავმა ხალხმა?! პურის ფული მისცენ მაინც, პურის ფული!!! პენსია რომ არ აქვს და არაფერი არ აქვს ადამიანს, იმან რა ქნას? ავადმყოფი რომ ჰყავს, არ მსახურობს და არაფერს არ წარმოადგენს, რა ქნას იმან? რითი იკვებოს? ერთი კაბა, შვილო, 15 წელიწადს ეყოფა ადამიანს და საჭმელი ყველადღე გინდა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

აფხაზთა პრემიერი ავარიაში დაიღუპა

შორენა მარსაგიშვილი

რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის სამთავრობო დელეგაციას სირიაში ვიზიტი ძვირად დაუჯდა. სოხუმისკენ მიმავალი აფხაზთა პრემიერი გენადი გაგულია ავტოავარიაში მოყვა და დაიღუპა.



შემთხვევა 8 სექტემბერს, ადგილობრივი დროით 22.40 წუთზე მოხდა. სირიიდან ჩამოფრენილი აფხაზური დელეგაციის წევრები სოჭიდან სოხუმისკენ მანქანებით გაემართნენ. გაგულია და ხაჯიმბა თავიანთ სამსახურებრივ მანქანებში მოთავსდნენ, დელეგაციის სხვა წევრები კი ავტობუსში გადანაწილდნენ.

ადგილობრივი მედიის ცნობით, ავარია მიუსერის ხიდთან მოხდა. გაგულიას „ტოიოტა კამრის“ ვაზ 21009 მარკის ავტომობილი შეეჯახა. აფხაზთა პრემიერის გარდა, მანქანაში მისი მძღოლი ბატალ ბგეი და პირადი მცველი ალხას ჯენია იმყოფებოდნენ.

ავარიის შედეგად ისინიც დაშავდნენ, მაგრამ – მსუბუქად. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შემდეგ ისინი საავადმყოფოდან გაწერეს. პრემიერის გადარჩენა კი შეუძლებელი აღმოჩნდა. ექიმებისა და სამართალდამცავების განმარტებით, გაგულიას ტრავმები სიცოცხლესთან შეუთავსებელი აღმოჩნდა.

ოკუპირებული აფხაზეთის მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, ავტომანქანის მძღოლი, რომელმაც პრემიერი იმსხვერპლა, ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

მთავარი პროკურორის თანაშემწე დაურ ამიჩბას ინფორმაციით, პრემიერი გუდაუთის რაიონის სოფელ ზვანდრიფშის მკვიდრმა, 22 წლის ხაჯარატ თარსმანმა შეიწირა.

– მას ჩაუტარდა შემოწმება. მისი სისხლში ალკოჰოლის კვალი არ აღმოჩნდა. ანალიზებმა გვაჩვენა, რომ თარსმანი ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა, – აღნიშნავს ამიჩბა.

აფხაზთა შსს-ს ინფორმაციით, გარდა იმისა, რომ თარსმანი ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა, მას თან არც პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები ჰქონდა და არც მართვის მოწმობა.

გენადი გაგულიას, მართალია, მაღალი თანამდებობები ეკავა, მაგრამ, სხვა აფხაზი ჩინოსნებისგან განსხვავებით, ისტერიული ანტიქართული გამოხდომები არ ჰქონია, არც საომარ მოქმედებებში აქვს საქართველოს წინააღმდეგ მონაწილეობა მიღებული. არადა, ის გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის მკვიდრია. ლიხნი იმით არის ცნობილი, რომ აქ აფხაზებმა 1989 წელს დიდი ანტიქართული შეკრება გამართეს.

70 წლის გენადი გაგულია პრემიერის პოსტზე წელს მესამედ დაინიშნა. პირველად ამ თანამდებობაზე ის ვლადისლავ არძინბამ 1995 წელს დანიშნა. მისი პრემიერობა 2 წელი გაგრძელდა.

არძინბამ გაგულიას ეს თანამდებობა ხელმეორედ 2002 წელსაც ჩაბარა. ამჯერად გაგულიას პრემიერობამ მხოლოდ ერთ წელს გასტანა. 2003 წელს მან თანამდებობა დატოვა, მესამე წრეზე კი ერთი წელიც ვერ გაძლო. მან მხოლოდ რამდენიმე თვე იპრემიერა. მისი კარიერაც და სიცოცხლეც ნარკომანმა ახალგაზრდამ შეიწირა.

აღსანიშნავია, რომ აფხაზი საზოგადოება უკვე წლებია, რაც საავტომობილი გზებზე არსებულ ვითარებას აპროტესტებს. აქ ავტოავარიები ძალიან ხშირია. აფხაზების თქმით, ომის დროს არ დაღუპულა იმდენი ადამიანი, რამდენიც ავარიებში იღუპება.

ავტოსაგზაო შემთხვევებზე არანაკლებ პრობლემატურია ნარკოტიკების პრობლემაც. იაური ახალგაზრდები თითქმის სულ დაბოლილები დადიან. ჩვენი ნარკომანების საყვარელი გალის პლანი აფხაზებშიც პოპულარობით სარგებლობს.

გზებზე არსებული განუკითხაობის აღმოფხვრა ალექსანდრე ანქვაბმა ცადა, მაგრამ ხაჯიმბამ და კრემლმა ის გადააყენეს. პრობლემა მოუგვარებელი დარჩა და ამ პრობლემას მათი პრემიერი შეეწირა.

რუსეთის მიერ ოკუპირებულ რეგიონებში ჩინოსნების ავარიით დაღუპვა ახალი ამბავი არ არის. რამდენიმე წლის წინ ავარიას ემსხვერპლა ცხინვალის რეგიონის გენერალური პროკურორი მერაბ ჩიგოევი. საქორწილო სუფრიდან გამოსული პროკურორი საკუთარ ავტომობილში ჯდებოდა, რა დროსაც მას დიდი სისწრაფით მომავალი მანქანა დაეჯახა. ჩიგოევი ადგილზე დაიღუპა.

❖ ❖ ❖

რაულ ხაჯიმბამ, რომელიც ამ ავარიის თვითმხილველია, გუშინ, 9 სექტემბერს, უშიშროების საბჭოს სხდომა მოიწვია. სხდომაზე დამტკიცდა დამკრძალავი კომისიის შემადგენლობა.

უშიშროების საბჭოზევე გადაწყდა, რომ აფხაზეთში გლოვის დღეს გამოაცხადებენ. პრემიერის გარდაცვალების გამო აფხაზებს რუსეთის პრემიერმა დიმიტრი მედვედევმა მიუსამძიმრა.

ილია II: „დაეხმარეთ გაჭირვებულებს და ღმერთი დაგეხმარებათ თქვენ“

– მინდა მივმართო ჩემს ნათლულებსა და ქართველ ხალხს, დაეხმარეთ გაჭირვებულებს.

ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სამების საკათედრო ტაძარში ქადაგებისას ბრძანა. პატრიარქმა აღნიშნა, რომ გაჭირვებულების დახმარება დიდი საქმეა.

– ყველაზე დიდი საქმე, რაც შეიძლება თქვენ გააკეთოთ, ეს არის გაჭირვებული ადამიანების დახმარება. მე მინდა მივმართო ჩემს ნათლულებსა და ქართველ ხალხს, დაეხმარეთ გაჭირვებულებს და ღმერთი დაგეხმარებათ თქვენ, – ბრძანა პატრიარქმა.

ამასთან, ილია II-მ ბიბლიიდან, დანიელის წიგნიდან ამონარიდი წაიკითხა, რომელიც ანანია, აზარია და მისაელს შეეხებოდა. უწმინდესის თქმით, მრევლმა ხშირად უნდა წაიკითხოს ბიბლია.

– ბიბლიაში იმდენი საიდუმლო და სიწმინდეა, რომ ბევრ რამეში გამოგვადგება, – განაცხადა პატრიარქმა.

ინტერპრესნიუსი

„ოცნება“ საპრეზიდენტო არჩევნებში სალომე ზურაბიშვილს დაუჭერს მხარს

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ტო კანდიდატ სალომე ზურაბიშვილის პოზიცია 2008 წლის ომთან დაკავშირებით „ქართული ოცნების“ პოზიციას შეესაბამება.

– ჩვენ მოვისმინეთ მისი განმარტება თავის განცხადებებთან დაკავშირებით და მისი განმარტება შეესაბამება „ქართული ოცნების“ პოზიციას. შეგახსენებთ, ეს განმარტება რა იყო: ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა აღნიშნა, რომ 2008 წელს აგრესორი იყო რუსეთი, ის იყო, შესაბამისად, ომის ინიციატორი, მისი სცენარით წარიმართა პროცესები 2008 წლის აგვისტოში საქართველოში, თუმცა ამ სცენარის განხორციელების აუცილებელი პირობა იყო ის მოქმედებები, რომლებიც, სამწუხაროდ, მაშინ განახორციელა სააკაშვილის ხელისუფლებამ, რომ არა ავანტიურისტული მიდგომა, რომ არა უგუნურება, ვერ შეძლებდა რუსეთის ფედერაცია თავისი ამ სცენარის განხორციელებას. ეს იყო მისი დაზუსტება, დაკონკრეტება და ეს სრულად შეესაბამება, რა თქმა უნდა, ჩვენს პოზიციას, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

კომენტარი გააკეთა „ოცნების“ მხარდაჭერილმა კანდიდატმაც. ის ამბობს, რომ მმართველმა პარტიამ მისი მოლოდინები გაამართლა.

– გამართლდა მოლოდინი. ძალიან გახარებული ვარ ამ საღამოს. მადლიერი ვარ ამ მხარდაჭერისთვის, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია. ეს გადაწყვეტილება ჩემთვის, ცხადია, დადებითი გადაწყვეტილებაა. მმართველი გუნდისთვისაც ვფიქრობ, ეს გადაწყვეტილება სწორი და დემოკრატიულია, – აღნიშნა ზურაბიშვილმა.

❖ ❖ ❖

რა განაჩენსაც გამოიტანდა „ოცნების“ პოლიტსაბჭო, ეს ყველამ წინასწარ იცოდა. თუმცა გიორგი შენგელაიამ სიტუაცია დაძაბა. მოგეხსენებათ, რომ პრეზიდენტად კენჭს ისიც იყრის.

შენგელაია „ოცნების“ ოფისთან იმ დროს მივიდა, როცა პოლიტსაბჭოს სხდომა იწყებოდა. შენობაში შესვლის წინ მან განაცხადა, რომ ის უნდა ყოფილიყო მმართველი პარტიის პრეზიდენტობის კანდიდატი.

ამ განცხადებამ ხალხი დააბნია. გიორგი შენგელაიას შვილი, ნიკუშა, ივანიშვილთან დაახლოებული პირია. ივანიშვილისთვის დაახლოებული პირების ოჯახის წევრების თანამდებობაზე დანიშვნა სიახლე არ არის. ბრძენ კაცს უცნაურობებიც უყვარს და ერის ნაწილმა არ გამორიცხა, რომ „ოცნების“ რჩეული გიორგი შენგელაია გახდებოდა, თუმცა ეს მოლოდინი არ გამართლდა.

ირაკლი კობახიძე: „პრეზიდენტის ინსტიტუტი სიძულვილისგან, აგრესიისგან, უზრდელობისგან დაცლილი უნდა იყოს“

– მნიშვნელოვანია, რომ მომავალი პრეზიდენტი მიუკერძოებელი იყოს, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში. აღნიშნული კომენტარი კობახიძემ პრეზიდენტსა და პრეზიდენტის ინსტიტუტზე საუბრისას გააკეთა.

– ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მომავალი პრეზიდენტი იყოს მიუკერძოებელი და მან ჩამოაყალიბოს ახალი ტრადიცია ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში. ის ტრადიცია, რომელიც ვერ ჩამოაყალიბა სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მოქმედმა პრეზიდენტმა, ბატონმა გიორგი მარგველაშვილმა. უნდა დამკვიდრდეს ახალი ტრადიცია და პრეზიდენტის ინსტიტუტი უნდა იყოს დაცლილი იმისგან, რაც ჩვენ გვახსოვს გასული წლებიდან. ეს არის: სიძულვილი, აგრესია, უზრდელობაც კი. ეს არის აბსოლუტურად გაუგონარი მოვლენები როცა საქმე ეხება პრეზიდენტის მოქმედებას. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ ყველაფერს ახალი პრეზიდენტის არჩევის შემდეგ წარსულს ჩავაბარებთ, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

დარიალის ხეობაში 2-კილომეტრიანი ახალი გვირაბი გაიხსნა



საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის კმ132-კმ135 მონაკვეთზე დაახლოებით 2 კმ-იანი გვირაბის მშენებლობა დასრულდა.

ახალი გვირაბი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფარსტრუქტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ, საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი ქარსელაძემ, მცხეთა-მთიანეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა ზაქარია ქუცნაშვილმა, მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორმა შალვა კერესელიძემ და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა გახსნეს.

1,7 კმ-იანი სიგრძის ახალი გვირაბი, რომლის სავალი ნაწილის სიგანე 8.5მ-ია, დარიალისა და დევდორაკის ხეობების გადაკვეთის ადგილას აშენდა.

დარიალის გვირაბი ამ დროისთვის, უპრეცედენტოა საქართველოში. 1950-იანი წლებიდან მოყოლებული, რიკოთის საავტომობილო გვირაბის მშენებლობის შემდეგ, მსგავსი მასშტაბის გვირაბის მშენებლობა საქართველოში არ განხორციელებულა.

დარიალის ხეობაში ბოლო წლების განმავლობაში სტიქია რამდენჯერმე განმეორდა. ხეობაში მეწყერი ჩამოწვა, რამაც მდინარე თერგის ჩახერგვა და წყლის ადიდება გამოიწვია. სტიქიის შედეგად დიდი ოდენობით მიწის მასა ჩამოიშალა, რის გამოც რუსეთ-საქართველოს საზღვარზე გადაადგილება შეწყდა, 2014 წლის სტიქიას კი ადამიანების სიცოცხლე ემსხვერპლა.

სტიქიის განმეორების რისკი საფრთხეს უქმნიდა ამ მონაკვეთზე მგზავრების გადაადგილებას. ასევე, სტიქიის პერიოდში მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის გზაზე სატრანზიტო ფუნქცია წყდებოდა, რაც ქვეყნისთვის, საშუალოდ მილიონ ლარამდე დანაკარგი იყო ყოველდღიურად.

გვირაბის აშენების შედეგად სრულად მოგვარდება არსებული პრობლემა და დარიალის ხეობაში გადაადგილება უსაფრთხოდ იქნება შესაძლებელი. გვირაბის მშენებლობა, ასევე, აუცილებელი იყო საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის შენარჩუნებისთვის და ამ მიმართულებით ქვეყანას ექნება სტაბილური სატრანზიტო გზა.

პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა და მისი საკონტრაქტო ღირებულება 51 მილიონ 892.174.44 ლარია. სამშენებლო სამუშაოები 2017 წლის მაისში დაიწყო და მსგავსი მასშტაბური პროექტისთვის უმოკლეს ვადაში – 2018 წლის აგვისტოში დასრულდა.

პროექტის ფარგლებში დასაქმებული იყო 140 ადამიანი.

ცვლის თუ არა პუტინი პოლიტიკას კავკასიაში

მარიამ მჭედლიშვილი

ჩინეთი სამხრეთ კავკასიაში ერევნიდან შემოდის?

გერმანიის ფედერალური კანცლერის სამხრეთკავკასიური ტურნეს, ასევე საქართველოში ნატოს ეგიდით გამართული სამხედრო წვრთნების შემდეგ, რომელშიც აზერბაიჯანი და სომხეთი მონაწილეობდნენ, კავკასიის მიმართულებით აქტიურდება რუსეთის ფედერაცია: 1 სექტემბერს მოსკოვში გაიმართა ვლადიმერ პუტინის პირისპირ შეხვედრა თავის აზერბაიჯანელ კოლეგა ილჰამ ალიევთან, ხოლო 8 სექტემბერს – სომხეთის „სახალხო“ პრემიერ ნიკოლ პაშინიანთან.

სექტემბრის ბოლოს რუსეთის პრეზიდენტი ბაქოს ესტუმრება. განსახილველ საკითხებს შორის სახელდება რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, ეკონომიკური და ენერგეტიკული პროექტები.

ენერგეტიკულ თემებზე, კასპიის ზღვის რესურსების ათვისებასა და ტრანზიტზე რუსეთსა და აზერბაიჯანს წინანდელზე მეტი აქვთ სალაპარაკო. მას შემდეგ, რაც კასპიისპირა სახელმწიფოებმა ერთობლივად განსაზღვრეს კასპიის ზღვის სტატუსი, გაიხსნა გზა ახალი პროექტებისათვის. უმეტესად, საუბარია ცენტრალური აზიიდან აზერბაიჯანი-საქართველოს გავლით გაზის გატანაზე ევროპაში. ანგელა მერკელის კავკასიაში ჩამოსვლის მთავარი მოტივი ეს იყო.

სომხეთთან რუსეთს განსაკუთრებით მჭიდრო კავშირები აქვს. მართალია, სომხეთში მომხდარი ხავერდოვანი რევოლუციის შემდეგ მოსკოვის კულუარებში დიდი პანიკაა ატეხილი, მაგრამ სახალხოდ ყველა ირწმუნება, რომ სომხეთ-რუსეთის მეგობრობაში არაფერი შეცვლილა.

– განწყობილი ვართ ჩვენი ურთიერთობების განვითარებისა და განმტკიცებისათვის. მხედველობაში მაქვს არა მხოლოდ ორმხრივი ურთიერთობები, არამედ, თანამშრომლობა ევრაზიული ეკონომიკური კავშირისა და კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების (ოდკბ)-ს ფარგლებში, ასევე სხვა სფეროებში, – განუცხადა პუტინს პაშინიანმა.

პრორუსულად განწყობილ სომეხ ანალიტიკოსებს ამ სიტყვების გულწრფელობისა არ სჯერათ. მათი შეფასებით, დღევანდელ ხელისუფლებაში ორპირი რუსოფობები არიან. ისინი მცდარ საგარეო პოლიტიკას ატარებენ.

ამ ექსპერტების აზრით, თუ მოსკოვში გაცხადებული სიმართლეა, მაშინ ამას უნდა მოჰყვეს სხვა ნაბიჯიც – სომხეთსა და რუსეთს შორის სამხედრო ხელშეკრულების გაფორმება. თუ სომხეთ-რუსეთის სამხედრო თანამშრომლობა არ გაღრმავდა, სამხრეთ კავკასიის ფეთქებადსაშიშ ზონაში ომი გარდაუვალია.

რუსეთთან სომხეთს ისედაც აქვს სამხედრო ურთიერთობები. იქ განლაგებულია ასევე რუსეთის სამხედრო ბაზა.

ლიბანში მცხოვრები სომეხი ექსპერტები იმედით უყურებენ სომხურ-ჩინურ სამხედრო თანამშრომლობას. როგორც ჩანს, რუსეთის მოწინააღმდეგეები არც ეს ექსპერტები არიან. ჩინეთი მონაწილეობს რუსეთის მიერ დაგეგმილ თუ ჩატარებულ ზოგიერთ წვრთნაში. ამდენად, სომხების დაახლოება ჩინელებთან „ღალატად“ არ ჩაითვლება.

ავტორების აზრით, რეალურია სომხეთის სამშვიდობო ნაწილების ჩართვა ჩინეთის ძალებში გაეროს სამშვიდობო ფორმატის შესაბამისად. მათი ლოგიკით, თუ სომეხი ჯარისკაცები ავღანეთში გერმანელი სარდლების დაქვემდებარებაში იყვნენ, გაეროს რომელიმე მისიაში ჩინელ ოფიცრობას დაემორჩილებიან. იმისათვის, რომ ჩინეთი დაინტერესდეს სომხეთის უსაფრთხოებით, სასურველია სომხეთში რამდენიმე ჩინელი ფერმერის მიზიდვა.

ჩინეთი სომხეთის მეორე სავაჭრო პარტნიორია. ექსპერტები ფიქრობენ, რომ სამხრეთ კავკასიაში ჩინეთი ერევნიდან შემოდის.

ჩინეთთან, ასევე ევროკავშირთან საქართველოს აქვს გაფორმებული დოკუმენტები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. ამის მიუხედავად, დიდი რაოდენობის ქართული პროდუქცია არც ერთი მიმართულებით არ გადის. ოფიციალური თბილისი, ერევნისა და ბაქოსაგან განსხვავებით, ანგელა მერკელს ცივად შეხვდა. რუსეთთან საომარი მდგომარეობა გრძელდება, სამაგიეროდ, საქართველოში რუსი ტურისტების დიდი ნაკადებია, ქართული გვარების მქონე მინისტრები მოსკოვიდან ჩამოჰყავთ. ეს მინისტრები თავიანთ საქმეს ოკუპანტი სახელმწიფოდან დისტანციურად უძღვებიან.

პაატა ზაქარეიშვილი: „თბილისმა აფხაზეთთან და ცხინვალთან ურთიერთობაში პოლიტიკა აუცილებლად უნდა შეცვალოს“

კონფლიქტოლოგი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი, პაატა ზაქარეიშვილი, რუსულ გამოცემა „ნეზავისიმაია გაზეტაში“ ვრცელ სტატიას აქვეყნებს, სადაც განხილულ-გაანალიზებულია საქართველოს ხელისუფლების, ქართველი საზოგადოებისა და პოლიტიკური ელიტის დამოკიდებულება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებთან.

პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების დაწყებიდან 25 წელი გავიდა, მაგრამ პრობლემა ჯერ კიდევ მოგვარებული არ არის. ავტორი ცდილობს განსაზღვროს, თუ როგორ შეიძლება ისინი მოგვარდეს, როგორი პოლიტიკა უნდა გატარდეს რუსეთთან, რა დახმარება შეუძლია გაუწიოს საქართველოს დასავლეთმა და ა.შ.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუისპრესი“ გთავაზობთ სტატიის შემოკლებულ ვერსიას:

„საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტების დაწყებიდან 25 წელზე მეტი გავიდა. ეს დრო საკმარისია იმისათვის, ქართველმა საზოგადოებამ და პოლიტიკურმა ელიტამ მომხდარი ფაქტები გაიაზროს და გააცნობიეროს. დადგა დრო გადაიხედოს პოლიტიკა და დავფიქრდეთ – მისაღებია თუ არა ჩვენთვის დღევანდელი შედეგები და საჭიროა თუ არა, ჩვენს მიდგომებში რამე შეიცვალოს.

კონფლიქტებში ჩაბმულმა მხარეებმა დასახულ მიზნებს ვერ მიაღწიეს. მოსკოვის ამოცანას შეადგენდა საქართველოს დაბრუნება რუსეთის ორბიტაზე, თავისი გავლენის ზონაში, მაგრამ პირიქით გამოვიდა. რუსეთის მოქმედების შედეგად – ოკუპაციით და აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლად აღიარებით თბილისი მოსკოვს კიდევ უფრო მეტად დაშორდა. გაწყდა დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთთან, მაგრამ გაძლიერდა საქართველოს ევროატლანტიკური ვექტორი. თავის მხრივ, თბილისის პროდასავლურმა პოლიტიკამ პრორუსულად განწყობილი რეგიონების გაუცხოება გამოიწვია.

რუსეთმა ვერ განახორციელა თავისი გეგმები. მოსკოვმა ვერ მიაღწია სამხრეთ კავკასიაზე კონტროლის გაძლიერებას, სადაც საქართველო უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს, მის ტერიტორიაზე არსებული საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე სატრანზიტო კომუნიკაციებით. საქართველო კავკასიის ჭიშკარია და მას რუსეთი ვერ აკონტროლებს.

თავიანთი მიზნები ვერც აფხაზებმა და ვერც ოსებმა ვერ შეისრულეს: საერთაშორისო საზოგადოებამ მათი სუვერენიტეტი არ აღიარა. ისინი აცნობიერებენ, რომ სირიის მსგავსი ქვეყნებისაგან აღიარება ერთგვარი თამაშია და რომ რუსეთი მათ არსადაც არ გაუშვებს. მათ დამოუკიდებლობის რეალური შანსი დღევანდელ სიტუაციაში არ აქვთ.

საქართველომაც ვერ მიაღწია თავის საწადელს: მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ვერ მოხერხდა, ჩვენ ახლა უნდა განვსაზღვროთ, რომელი ტიპის სახელმწიფოში უნდა ვიცხოვროთ აფხაზ და ოს ხალხთან ერთად? ეს უკიდურესად აუცილებელია, რადგანაც ტერიტორიული მთლიანობის იდეა კონსტიტუციაში დაფიქსირებული, საერთაშორისო თანამეგობრობა კი ერთმნიშვნელოვნად მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტს. მხოლოდ ქართულ სახელმწიფოზე და ქართულ საზოგადოებაზეა დამოკიდებული თანაარსებობის, თანაცხოვრების ისეთი ფორმების არჩევა, რომელიც აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებს დაანტერესებთ.

საქართველო თავიდან ვერ აიცილა საბჭოთა იმპერიის დაშლის ნეგატიური შედეგები. თავის მხრივ, რუსეთის იმპერიამ საბჭოთა პერიოდი გადაიტანა, 2007 წლიდან კი ნეოიმპერიის მოდერნიზებას შეუდგა. პირველ შემთხვევაში ჩვენს ტერიტორიაზე კონფლიქტები გაჩნდა, ხოლო მეორე შემთხვევაში – საქართველო-რუსეთის ომი დაიწყო, 2008 წელს, რომელიც ჩვენი ტერიტორიების ოკუპირებით დასრულდა. ჩამოყალიბდა ახალი რეალობა საქართველოსთვის, რუსეთისა და აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მმართველმა „ქართულმა ოცნებამ“, მიუხედავად იმისა, რომ ის მწვავედ აკრიტიკებს თავის წინამორბედს – „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ კონფლიქტების მოუგვარებლობის საკითხში, „ნაციონალების“ მიერ შექმნილი ნარატივი პრაქტიკულად უცვლელი დატოვა. სწორედ ეს ითვლება ერთ-ერთ მთავარ მიზეზად იმისა, რომ კონფლიქტების მოგვარებაში დინამიკა არ არსებობს.

ესე იგი, რა გამოდის – თბილისი მიმდინარე პოლიტიკა აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის მიმართ უკვე თითქმის დავიწყებული ხაზის გაგრძელებაა? მოკლედ თუ ვიტყვით, ეს პოლიტიკა შემდეგში გამოიხატება: საქართველო აგრესორ-ოკუპანტ რუსეთის მსხვერპლია, ანუ იმ რუსეთისა, რომელმაც საქართველოს რეგიონების „დამოუკიდებლობა“ უკანონოდ აღიარა. ეს პოზიცია განმტკიცებულია იმით, რომ თბილისი ყოველთვის უთითებს რუსეთის აგრესიულ პოლიტიკაზე უკრაინის მიმართ. აქედან გამომდინარე, თბილისი ელოდება, რომ მთელი მსოფლიო საქართველოს გამო რუსეთს დაუპირისპირდეს, ყველა წინ აღუდგეს მოსკოვს და ქართული ინტერესები დაიცვას. აი, სწორედ ამ ნარატივს ეფუძნება 2008 წლიდან საქართველოს მიდგომები. ეს მნიშვნელოვანწილად კონფლიქტების მოგვარების მუხრუჭს წარმოადგენს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ურთიერთდამოკიდებულების დარეგულირება უპირველესად ორმხრივი ურთიერთობების გაუმჯობესებით უნდა დაიწყოს და შემდეგ საერთაშორისო მხარდაჭერით გაგრძელდეს.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

„გორში სტალინის მუზეუმი არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს“

გერმანული გამოცემა Die Zeit ნოემი კისის ავტორობით სტატიას აქვეყნებს, რომელიც ავტორის საქართველოში ყოფნის შთაბეჭდილებებს შეეხება.

გთავაზობთ ამონარიდს სტატიიდან, რომელიც გორს, კონკრეტულად კი გერმანელი ჟურნალისტის სტალინის სახლ-მუზეუმში ვიზიტს ეხება:

– კავკასიაში სიცოცხლე და ცხოვრება იმას ნიშნავს, რომ თქვენ მსოფლიოში ყველაზე მძიმე სამუშაოს ასრულებთ. როგორც ჩანს, უფრო უარესი იყო ცხოვრება და სამხედრო სამსახური საბჭოთა პერიოდში, იოსებ სტალინის მმართველობის დროს.

„ჩვენ „გრუზინები“ კი არა, ქართველები ვართ“, „გრუზინებად“ მხოლოდ რუსები გვთვლიან. მათ ეს სახელი გვიწოდეს და ასე შემორჩა“, – მეუბნება გორელი ქალი, რომელიც იოსებ სტალინის სახლ-მუზეუმის დამთვალიერებლებისათვის გიდის როლს ასრულებს. უცხოელები აქ ძირითადად იმიტომ ჩამოდიან, რომ ბელადზე ბევრი რამ კარგი ნახონ, გაიგონ და მოისმინონ. „კარგია, რომ იოსებ ჯუღაშვილი აქ, გორში დაიბადა. აბა, სხვა რითი უნდა ვიცხოვროთ? ჩვენ ხომ ამით შემოსავლები გვაქვს. ჩემი სამი შვილი ინგლისურ ენას სწავლობს თბილისში, მათ ფული უნდათ. აქ ბინას თითქმის მთელი წლის განმავლობაში ვაქირავებ. ბევრი ტურისტი ჩამოდის – რუსეთიდან, დასავლეთ ევროპიდან. მათგან საკმაოდ ბევრი ახალგაზრდებია. ისინი გემრიელად მიირთმევენ აქაურ კერძებს“, – ამბობს გორელი ქალი. ქართული ენა არ მესმის, მაგრამ მის საუბარს თარჯიმნის გარეშეც სიამოვნებით ვუსმენ.

ისე, საინტერესოა, კარგი და ახალი რა უნდა ნახო და მოისმინო იოსებ სტალინზე? ეს კითხვა მეც მაკვირვებდა, სანამ გორში არ ჩამოვედი. აქ გავიგე, რომ პატარა იოსებს სათნო და მოსიყვარულე დედა ჰყოლია, წარმოშობით გლეხის ქალი. თვითონ იოსები ლექსებს წერდა სამშობლოს სიყვარულზე და როცა ქვეყნის ხელმძღვანელი გახდა, ბევრი რამ გაუკეთებია ქალაქისათვის. დედამისი მეზობლებსაც კარგად ექცეოდა, უბრალოებით გამოირჩეოდა და თურმე კარგადაც

მღეროდა. მართლაც რატომ არ უნდა მოგეწონოს იგი?

თუმცა ჩემთვის მაინც მიუღებელია, რომ მუზეუმში იოსებ სტალინს თაყვანს სცემენ და აქებ-ადიდებენ. არაფერს ამბობენ მის სისხლიან კვალზე და ტურისტებს ბავშვობის დროინდელი ლექსებით ართობენ. განა სიკეთეს და ბოროტებას შორის განსხვავება არ არის? მოგვიანებით სუვენირების გამყიდველი მეუბნება: ჩვენთან გარდაცვლილზე ან კარგს ამბობენ, ან არაფერსო. შევატყვე, რომ მას სტალინისადმი შიში ჰქონდა.

მუზეუმი არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს. მე მახსენდება შიმშილით მილიონობით დაღუპული უკრაინელი და ათასობით დახვრეტილი ბუკოვინელი (დასავლეთ უკრაინა, კარპატები). რუსებიც მილიონობით დაიხოცნენ, ქართველებიც, მაგრამ ამაზე მუზეუმში არავინ ლაპარაკობს. აქ ტურიზმის პრინციპები ბატონობს: შენობა მდიდრულადაა გაფორმებული და ზოგჯერ ციხე-სიმაგრეს, ზოგჯერ კი დიდ ტაძარს მოგვაგონებს.

მუზეუმის შესასვლელში წარწერა გვახსენებს, რომ სიცილი არ შეიძლება, არანაირი ემოციები და გრძნობები, მხოლოდ სიჩუმე... მაგრამ როგორ უნდა მოითმინო ისტორიის ფალსიფიკაცია? აქაც რუსეთის შიშია თუ საბჭოთა ისტორიისადმი ერთგულება? რა არის ეს – ყალბი სიამაყე?

გარეთ ათასნაირი სუვენირი იყიდება იოსებ სტალინის გამოსახულებით. რას ვიზამთ, ესეც ბიზნესია. შევდივართ იქვე ახლოს მდებარე სუპერმარკეტში, იქაც ბევრი რამ ბელადის პორტრეტითაა. რა ვქნა, არაფერი არ ვიყიდო? აი, ასეთი უცნაური რამ არის ქართული სტუმართმოყვარეობა. და მაინც, ეს ქვეყანა ძალიან მიყვარს, – ნათქვამია სტატიაში.

„მიშაზე უარესი მოგელის შენ“

ბედუკაძე ივანიშვილს ემუქრება

ციხის სკანდალური კადრების ავტორი ლადო ბედუკაძე ბიძინა ივანიშვილს ღია წერილს უგზავნის. წერილში ის „ოცნების“ ლიდერს ღიად ემუქრება.

– 6 წელია, აქტიურად მიბიძგებდნენ „ოცნებისა“ თუ „სუს“-ის მაღალ ეშელონებში ჩაბუდებული მედროვე მანკაბერდელები „განაცებას“, ყოველმხრივ ცდილობენ დამაპირისპირონ, დამცდეს აუგი თქვენზე, ქვეყნის ურჩხულისგან მხსნელზე, ახალი ქართული რეალობის შემქმნელზე, სტაბილურობისა და მშვიდობის ერთადერთ გარანტზე, ბიძინა ივანიშვილზე (არ იფიქროთ, გადამეტებული ეპითეტებია, ყველა ნამდვილი და უტყუარი).

6 წელი ვცდილობდი ადამიანურ კონტაქტს, შეხვედრას, რომ მეთქვა ყოველივე ამის შესახებ, მაგრამ, მიუხედავად მრავალგზის მცდელობისა, ვერ მივაღწიე ამას, ვერ გავარღვიე მის ირგვლივ ხელოვნურად შექმნილი მოჯადოებული წრე.

რახანს ამ ფორმით მომიწია კომუნიკაცია, ერთს გეტყვი მხოლოდ, ჩემო ბიძინა, ღიად და ალალად: განწირული ხარ ამ მანქურთების გარემოცვაში!

ნოსტრადამუსი არ ვარ, მაგრამ არ ვცდები, 2008-ში ვუწინასწარმეტყველე მსგავსი მიშას, ჯერ კიდევ მისი გარემოცვის პირით.

დაგღუპავენ, ჩემო ბიძინა და არ მინდა ხელმეორედ, ისედაც მოლაყლაყებული შენობის ნანგრევებში, სიკეთის გამო ხელმეორედ მოვყვე.

არასდროს არავისთვის გამიწევია დათვური სამსახური და ახლაც პირდაპირ, თანაც შენობითი ფორმით, პირში გეუბნები შიშველ სიმართლეს, რისი გაგებაც, შენამდე მოტანაც არავის სურს პირადი გამორჩენის თუ სხვა გარემოებათა გამო და ვერც მომავალში ვერავინ გაგიბედავს, სანამ თეთრ ცხენზე ზიხარ.

იცი, შენი ფინანსური სიკეთე არასდროს მდომია და არც მინდა. უბრალოდ, აქეთ მეხვეოდნენ გარს შენი „წყალობის მთხოვნელები“, მაგრამ, რომ დარწმუნდნენ, შენთან არაფერი მაკავშირებდა, უმალ თოვლივით გაიპარნენ. არაა კაცობა მათი გვარ-სახელების ჩამოთვლა და არც ვიტყვი.

ნუ ენდობი მაგ არაკაცებს, ვინც ახლა გარწმუნებენ, ქირქილებენ, „ხომ გეუბნებოდი, ბედუკაძე სააკაშვილის მხარეს იყო და არისო“.

გაგწირავენ, მათი რწმენა ფულია, სალაცავი – თანამდებობა, სისხლს გწოვენ და, როცა აღარ გექნება (ღმერთმა გიმრავლოს!), ფასკუნჯივით გახდები.

ნუ გეშინია, პირობას ვდებ, სააკაშვილს არ შევეკვრები, არ ვარ ის კაცი, სხვებივით ზურგში ლახვარი ჩაგცე.

ყველაფერი გავიღე და დავკარგე ამ ქვეყნის, ამ ხალხისთვის რაც გამაჩნდა – ოჯახი, სამსახური, კარიერა, მომავალი, უსაფრთხოება.. ვიქეცი ათასგვარი თავდასხმის, შეურაცხყოფის, ცილისწამების ობიექტად, განა დამიცავ ვინმემ?!

– არც პოლიტიკაში ჩართვა ყოფილა ჩემი თვითმიზანი, თავად მაქცია სააკაშვილმა პოლიტიკურ პაიკად, როცა ჩემ მიერ გამოტანილი კადრები „დაკვეთილად“ გამოაცხადა და ამ გზით შენი მოსპობა განიზრახა,

– არც თანამდებობა, სკამი, ფული მითხოვია შენთვის, ან ვინმესთვის ჩემი ქმედების სანაცვლოდ, არასდროს არავის გუნდის წევრი არ ვყოფილვარ, მტკნარი სიცრუეა ვინმეს რაიმე სახით ჩართულობა ამ პროცესში, ვიყავი და ვარ დამოუკიდებელი ჩემს ქმედებებში, უბრალო ხალხი ხედავს ყველაფერს ვინ და რა გამორჩენა ნახა შენი მოსვლით.

ვაცხადებ პირდაპირ და ღიად ბრალს ვდებ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, ერთგულ უწყებად რომ წარმოგიდგენია – ჩემს იზოლაციაში, სახელმწიფოებრივ დევნაში, ფსიქოლოგიურ ტერორში.

რა მინდა მათთან? განა არ ვიცი, რომ ძლიერი უსაფრთხოების სამსახური ქვეყნის სიძლიერის საფუძველია, მაგრამ არა ადამიანების განადგურებით, ფსიქოლოგიური ტერორით განმსჭვალულები.

ისინი ყოველმხრივ, ყველა გზით, ხერხით, საშუალებით ახდენენ ჩემს ბლოკირებას, იზოლირებას, ოფიციალურად მათ მიერ ვარ გამოცხადებული სახელმწიფოს მტრად, პერსონა ნონ გრატად.

ვიცი, რა თქმა უნდა, ყოველივეს უარყოფენ, მაგრამ ფაქტი სახეზეა:

– სუს-ის შემოქმედებაა, ჩემს მიერ შექმნილი არასამთავრობო ორგანიზაციის „საზოგადოებრივი მონიტორინგის ცენტრის“ საქმიანობის ბლოკირება, მისი მიზანი კი საპყრობილეში, იმ 800-ზე მეტი სააკაშვილის რეჟიმისგან საიქიოს გასტუმრებული ადამიანის რეალური გარდაცვალების მიზეზების შესწავლა იყო, ამის უშუალო დამბლოკავი ისევ ერთგულად წამოგიდგებათ და დღეს „გუბერნატორების უფროსია“,

– სუს-ის „ღვაწლია“ 2016 წელს საპარლამენტო არჩევნებიდან ცეესკო-ს მიერ, როგორც პრორუსული, „ანტიკონსტიტუციური“ პარტია „ცენტრისტების“ არჩევნებიდან უკანონოდ მოხსნა. ეს იყო სრული სახელმწიფო დევნა განსხვავებული აზრის, პოლიტიკური შეხედულების პარტიის მიმართ და ჩვენი „მოღალატეებად“ გამომცხადები ისევ ახლოსაა თქვენთან.

– მათი ხელი ურევია 2016 წელს საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ პარტიის წინასაარჩევნო კლიპის უკანონოდ მოხსნაში,

– მათი დირექტივაა, რომ შსს და პროკურატურა განზრახ არ იძიებს ჩემ მიერ შეტანილ განცხადებებს ცრუ დასმენის, ელექტრონული კომუნიკაციის არხების ხელყოფის, ცილისწამების, პირად ცხოვრებაში უხეში ჩარევის ფაქტების შესახებ,

– ყველაზე მეტად მათ უწყებას აწყობს, რომ კონკრეტული ფიგურა – ბედუკაძე იყოს დისკრედიტებული და მუდმივ თავის მართლების რეჟიმში, საინფორმაციო ბლოკადაში.

– მათი „შემოქმედებაა“, რომ ხელისუფლების გადაბარების შემდგომ არ მეძლევა ელემენტარულად ფიზიკური არსებობის საშუალება: ნებისმიერი უწყება , თანამდებობის პირი, კერძო ორგანიზაცია, როგორც კეთროვანს, ისე მიყურებს და უარს აცხადებს კონკრეტულად ჩემს დასაქმებაზე, მით უმეტეს, არ მქონია და არ მაქვს არანაირი თანამდებობის პრეტენზია.

და რადგანაც ამ ქვეყანაში ადამიანების დაფასების, შეფასების, დასაქმების საფუძველი და კრიტერიუმი მხოლოდ შანტაჟის, ზიზღის ენით საუბარია, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გსპობენ, განადგურებენ, არ გაძლევენ ადამიანურად არსებობის საშუალებას, განა ვინ გამამტყუნებს, უარი ვთქვა იმ ქვეყნის მოქალაქეობაზე, რომელსაც არ უნდიხარ, რომელსაც ადამიანების ნიღბებს მორგებული ტურები მართავენ?

ნუთუ სხვა რამაა „სახელმწიფო ტერორი“, როცა აიძულებთ ადამიანს უარი თქვას თავის ქვეყნის მოქალაქეობაზე?

რატომ მიბიძგებთ ამისკენ, რა დაგიშავეთ, რით გეღობებით, რით დაგაშინეთ ასე?

ერთი უბრალო განცხადება, მიმართვა საქართველოში აკრედიტებულ უცხო სახელმწიფოთა დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელებისადმი, თხოვნით მიშუამდგომლონ მათი ქვეყნის ლიდერებთან მოქალაქეობის მისაღებად, ხომ მათი სირცხვილია?

თუმც, ერთი კია, ღრმად დავრწმუნდი და ვთხოვ გულანთებულ, პატრიოტ ქართველებს, ადამიანებს, უბრალო მოქალაქეებს, ვისაც სამომავლოდ სურვილი გაუჩნდებათ, განსაკუთრებით სახელმწიფო, ძალოვან უწყებებში უკანონობის, რეჟიმის მხილების, სახელმწიფოსთან დაპირისპირების გაითვალისწინოთ ჩემი გამოცდილება და დამდგარი შედეგი.

პირში წყალი ჩაიგუბეთ, გაჩუმდით!

და თუ მზად ხართ, გაინადგუროთ მომავალი, ოჯახი, სამსახური, კარიერა, იყოთ ცილისწამების, ცრუ დასმენის, სახელმწიფო ფსიქოლოგიური ტერორის, უსაფუძვლო, დაუმსახურებელი თავდასხმის, ლანძღვა-გინების ობიექტი, რასაც და ვისაც ებრძოდით, მათ მიერვე იქცეთ დაცინვის საგნად, რასთან ბრძოლასაც შეეწირეთ, თქვენვე დაგბრალდეთ, მზად ხართ, აიტანოთ და გაუძღოთ ყოველივეს – გზა დამილოცია.

ბოდიშს გიხდი ფამილარობისთვის, ჭეშმარიტ მამულიშვილებს, ვისაც გული გატკინათ ჩემმა მწარე სიმართლემ, შენდობას გთხოვთ და ლოცვებში მოხსენიებას.

მადლობა.

პ.ს. უახლოეს დღეებში გავაკეთებ განცხადებას საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმის შესახებ, – წერს ვლადიმერ ბედუკაძე.

❖ ❖ ❖

შეგახსენებთ, რომ გლდანის №8 საპყრობილის ყოფილ თანამშრომელს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დაუსწრებლად ჰქონდა მისჯილი პატიმრობა აღკვეთის ღონისძიების სახით. მას ბრალად ედებოდა ადამიანების წამება. ბედუკაძეზე, რომელიც ბელგიაში იმყოფებოდა, ძებნა ინტერპოლის ცირკულარით იყო გამოცხადებული. ის 2013 წლის 18 იანვარს, გვიან ღამით, აეროპორტში ჩამოფრენისთანავე დააკავეს. ბედუკაძე 2.000 ლარის გირაოს სანაცვლოდ 2013 წლის 20 იანვარს გათავისუფლდა. იგი წაყენებულ ბრალს არ აღიარებდა და სასამართლოს დატოვების შემდეგ ციხის სკანდალური კადრების ავტორმა საქართველოს მთავარ პროკურორსა და იუსტიციის მინისტრს მადლობა გადაუხადა.

გურიის მოამბე

პაატა ზაქარეიშვილი: „თბილისმა აფხაზეთთან და ცხინვალთან ურთიერთობაში პოლიტიკა აუცილებლად უნდა შეცვალოს“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

გაეროს გენასამბლეა უკვე რამდენიმე წელია, იღებს რეზოლუციებს ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნების თაობაზე. ევროპარლამენტმაც მიიღო 2008 წლის აგვისტოს ომის წლისთავზე ხისტი რეზოლუცია რუსეთის წინააღმდეგ. ბუნებრივია, ქართული საზოგადოება და პოლიტიკური ელიტა კმაყოფილია საერთაშორისო თანამეგობრობის ამგვარი პრინციპული მხარდაჭერით. მაგრამ რა დგას რას რას ვხედავთ ამ ყველაფრის უკან?

ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო პოლიტიკასა და უსაფრთხოების საკითხებში ფედერიკა მოგერინმა განაცხადა, რომ მთელი ჩვენი მოქმედება აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის მიმართ სრულად არის კოორდინირებული და შეთანხმებული საქართველოს ხელისუფლებასთანო და ჩვენი მიდგომები თბილისის მიდგომებს ემთხვევაო“.

კეთილი და პატიოსანი. ეს სიტყვები მართლაც ძალიან სასიამოვნოა მოსასმენად, მაგრამ... არსებითად არაფრის მთქმელია. დღევანდელი სიტუაცია ძალიან ჰგავს ქართული კომედიის „ცისფერი მთების“ გმირების დავას... ვამბობთ, რომ ჩვენი მთავარი სტრატეგია ევროკავშირისა და დასავლეთის მხარდაჭერის მიღწევაში გამოიხატება, ევროკავშირი კი გვპასუხობს, რომ ჩვენ თქვენი პოლიტიკის მიხედვით ვმოქმედებთო.

თითქოსდა მოჯადოებულ წრეში ვართ: ევროპა გველოდება და იმედი აქვს, რომ თბილისი რაღაცას გააკეთებს თავის ორბიტაში აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის მოზიდვისათვის, ჩვენ კი დასავლეთის მოქმედებას ველოდებით და მას „ნაციონალური“ ხელისუფლების მიერ მომზადებულ სტრატეგიას ვთავაზობთ ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ, რომელსაც არასოდეს არ უმუშავია და დღემდე არ შეცვლილა.

ევროკავშირი და დასავლური ინსტიტუტები უშუალოდ მონაწილეობენ მსოფლიო პროცესებში. პრობლემა უამრავია – ირანი, სირია... ჩვენ ხშირად ვართ მოწმენი ბოლო დროს აშშ-ის არასტაბილური და ხშირად საკმაოდ წინააღმდეგობრივი პოლიტიკისა... ჩვენს რეგიონში აშკარად მტკიცდება რუსეთ-თურქეთ-ირანის ღერძი. ასეთ რთულ სიტუაციაში, რა თქმა უნდა, ევროკავშირიც, ნატოც და სხვა სტრუქტურებიც ყოველ მეტ-ნაკლებად წარმატებულ პროექტს მხარს უჭერენ. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში განხორციელებული რეფორმები დასავლეთისთვის მართლაც ერთ-ერთ წარმატებულ პროექტს წარმოადგენს. ამავე დროს დასავლეთს სურს, რომ საქართველომ კრიტიკულად შეაფასოს, კრიტიკულად მიუდგეს საკუთარი გეგმები კონფლიქტების მოგვარების საკითხში. ყოველმა კონფლიქტოლოგმა იცის, თუ რა პრინციპულად და ხისტად ეკიდება ევროკავშირი მასში გაწევრიანების მსურველ სახელმწიფოებს, რომლებსაც ტერიტორიების საკითხში პრობლემები აქვთ და კონფლიქტები ჯერ კიდევ არ დაურეგულირებიათ – მაგალითად, კვიპროსის, სერბეთის მიმართ...

ჩემთვის დღევანდელი ვითარება შემაშფოთებელია. ხომ მივეჩვიეთ ასეთ სიტუაციას? ხომ არ გახდა ის კომფორტული ჩვენთვის? ხომ არ მოდუნდა ჩვენი სიფხიზლე ახალი მუქარებისა და გამოწვევების მიმართ? ყალიბდება ისეთი განწყობა, რომლის მიხედვით, მნიშვნელობა იმას კი არ აქვს, თუ როგორი ფორმით მოხდება აფხაზებთან და ოსებთან შერიგება, არამედ იმას, თუ რამდენი ხმით დაუჭერს გაეროს გენასამბლეა მხარს ჩვენ მიერ შეტანილ რეზოლუციის პროექტს აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის შესახებ. ეს ძალიან სახიფათოა. ათი წელია მსგავსი რეზოლუციები განიხილება გაეროს გენეასამბლეის სხდომებზე. დიახ, ჩვენი მხარდამჭერი ქვეყნების რიცხვი იმატებს, მაგრამ ასევე იზრდება რუსეთის მხარდამჭერთა რაოდენობაც იმათ ხარჯზე, რომლებიც ადრე თავს იკავებდნენ. ჯერ კიდევ არის დარჩენილი 60 თავშემკავებელი ქვეყანა, 40 თუ 50 კენჭისყრაში საერთოდ არ მონაწილეობს. და თუ ჩვენ იმას დაველოდებით, თუ როდის შევიძენთ საჭირო რაოდენობის ახალ მეგობრებს, რომ გაერომ საბოლოოდ მიიღოს გადაწყვეტილება, ასეთი ტემპით ნახევარი საუკუნე კიდევ გავა. განა ესაა წარმატება? განა ამით უნდა იამაყოს ხელისუფლებამ თავისი მოსახლეობის წინაშე?

ასეთი კომფორტული სიტუაცია უკიდურესად სახიფათოა. ძალიან საგანგაშოა, როცა „ყველაფერი კარგადაა, წესრიგშია“ და „ჩვენ არაფერში ბრალი არ მიგვიძღვის“.. მე ყველაზე უფრო იმისი მეშინია, რომ ვაითუ ქართველებში გამოუვალობის, უსაშველობის გრძნობა გაჩნდეს: სულერთია, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს მაინც ვერ დავიბრუნებთ, იქ მცხოვრებ ხალხებთან ნდობის აღდგენა შეუძლებელია და ამიტომაც მათთან მოლაპარაკებას აზრი არ აქვს. და რადგანაც ასეა, ვეცადოთ, რომ ყველაფერზე პასუხისმგებლობა რუსეთს დავაკისროთ.

ადრე თუ გვიან ასეთი პოზიცია ახალ კრიზისამდე მიგვიყვანს. ჩვენ დავიბნევით იმ წყალგამყოფი წერტილის ძიებაში, რომელმაც პროცესებისადმი ქართული მხარის მართვა გამორიცხა. დარწმუნებული ვარ, რომ ასეთ შემთხვევაში ქართული საზოგადოება პრობლემის ძებნას საკუთარ თავში კი დაიწყებს, არამედ, უბრალოდ, გამოაცხადებს, რომ დასავლეთისადმი იმედებმა არ გაამართლა, დასავლეთი ისე არ დაგვეხმარა, როგორც საჭირო იყოო. ჩვენ ისევ დავიწყებთ პრობლემის სხვისადმი გადაბრალებას – აი, შეხედეთ, რუსეთი როგორი აგრესიულიაო და იმავდროულად დასავლეთს ვუსაყვედურებთ – პასიურობას ამჟღავნებსო. დღეს ჩვენ ფაქტიურად მთელი ჩვენი რესურსები და მოლოდინები დასავლეთის ქვეყნებისა და დასავლური ინსტიტუტების მხრებზე გადავალაგეთ, რომლებსაც უამრავი პრობლემები აქვთ და ჩვენთვის არ სცხელათ. სწორედ ამიტომაც ისინი ჩვენთვის სასიამოვნო ისეთ რეზოლუციებს იღებენ, რომლებიც არავის არაფერს ავალდებულებს და რომელთა პრაქტიკული სარგებლიანობა ძალიან საეჭვოა.

საქართველოში სახიფათო ნარჩენების იმპორტი აიკრძალება

საქართველოში სახიფათო ნარჩენების იმპორტი აიკრძალება.

შესაბამისი კანონპროექტი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში მომზადებულია და ამ ინიციატივით საქართველოს პარლამენტში შესვლას მთავრობა საშემოდგომო სესიაზე გეგმავს.

სახიფათო ნარჩენი შეიძლება იყოს ნივთიერება, რომელიც არის: ფეთქებადი, ადვილად აალებადი, მჟანგავი, კანცეროგენური, ტოქსიკური და ა.შ.

კანონპროექტის მიხედვით, სახიფათო ნარჩენების იმპორტის აკრძალვასთან ერთად, აიკრძალება არასახიფათო ნარჩენების იმპორტი (განთავსების და შუალედური აღდგენის მიზნით), ხოლო საქართველოს მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება იმ ნარჩენების ნუსხა, რომელთა იმპორტიც დაიშვება.

კანონპროექტი ასევე განსაზღვრავს ექსპორტისთვის აკრძალულ და დაშვებულ ნარჩენებს, კერძოდ, აკრძალულია სახიფათო ნარჩენების ექსპორტი, თუ იმპორტის ქვეყანა არ არის ბაზელის კონვენციის მხარე ან ოფიციალურად კრძალავს ასეთი ნარჩენების იმპორტს ან არ გაუცია თანხმობა კონკრეტული ნარჩენების იმპორტზე. ამასთან, ექსპორტისთვის დაშვებული ნარჩენების ნუსხა ასევე დადგინდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

კანონპროექტით დგინდება ნარჩენების ტრანზიტთან დაკავშირებული აკრძალვები, კერძოდ, აიკრძალება სახიფათო ნარჩენების ტრანზიტი, ხოლო ტრანზიტისთვის დაშვებული ნარჩენების ნუსხა აგრეთვე განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

3 ფერმერი ქალის ბიზნესი მსოფლიო ბანკის პასუხზეა დამოკიდებული

3 ფერმერი ქალის ბიზნესის ბედი ამჯერად უკვე მსოფლიო ბანკის ვაშინგტონის ოფისის პასუხზეა დამოკიდებული.

საქმე ეხება ავტომაგისტრალს, რომელიც მარნეულის რაიონში იმ ტერიტორიაზე უნდა გავიდეს, სადაც ფერმერებს კენკრის ბიოპლანტაცია აქვთ გაშენებული.

როგორც ფერმერი თეა ქუთათელაძე „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აცხადებს, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მხოლოდ მსოფლიო ბანკის ჩარევის შემდეგ გადაწია გზა 61 მეტრით, თუმცა მიაჩნია, რომ მეურნეობის დასაცავად ეს საკმარისი არ არის. ამიტომ, ფერმერმა ქალებმა მსოფლიო ბანკის ვაშინგტონის ოფისს მიმართეს ოფიციალური წერილით, სადაც სთხოვენ, ჩატარდეს საფუძვლიანი კვლევა, რა ზემოქმედება ექნება ამ მაგისტრალს გარემოზე.

ფერმერი ქალები ითხოვენ, რომ მოხდეს ავტომაგისტრალისგან ბიომეურნეობის დაცვა 8-ზოლიანი ქარსაცავითა და ლითონის კედლის კონსტრუქციით.

თეა ქუთათელაძის თქმით, მსოფლიო ბანკისგან პასუხს, სავარაუდოდ, ერთ-ორ კვირაში ელოდებიან და მხოლოდ ამის შემდეგ დაგეგმავენ შემდგომ ნაბიჯებს. ავტომაგისტრალის გაყვანასთან დაკავშირებით ფერმერებს პრობლემები მაისში შეექმნათ, რის შესახებაც თავდაპირველად „ფეისბუქის“ გვერდზე დაწერეს.

ფერმერი ქალები შიშობენ, რომ თუ მათ პლანტაციასთან საავტომობილო გზა გაკეთდება, არათუ ბიოლოგიურად სუფთა, ზოგადად სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაც შეუძლებელი გახდება, რადგან ასე მოყვანილ მოსავალს არავინ შეიძენს.

– ეს ავტომაგისტრალი მსოფლიო ბანკის პროექტია, ამიტომ ვთხოვთ გამოაგზავნონ სპეციალისტები და შეისწავლო ამ პროექტის გარემოზე ზემოქმედების შესაძლო ზიანი. რადგან გზის გადაწევა მეტად ვეღარ მოხდება, ვითხოვთ ქარსაცავს და ჩვენს მომიჯნავე ტერიტორიაზე მაგისტრალს გაუკეთონ ლითონის კედელი, რაც მსოფლიოში აპრობირებული პრაქტიკაა. ორი დამცავი კომპონენტით სრულად მოხდება ბიომეურნეობის დაცვა.

ვნახოთ, რა შედეგი ექნება ჩვენს წერილს. მარნეულის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელიც ჩავრთეთ ამ მიმოწერაში, რადგან ის მსოფლიო ბანკის პროექტზეა პასუხისმგებელი, – ამბობს თეა ქუთათელაძე.

სამმა ფერმერმა ქალმა, მარნეულის რაიონის სოფელ ახლომამუდლოში კენკრის ბიოპლანტაცია 2017 წელს გააშენა. ფერმერებმა 7 ჰექტარ მიწაზე 17.000 ძირი ჟოლო და 10.000 ძირი მაყვალი დარგეს.

ნინი ქეთელაური, ბიბიენი

თბილისში ტაქსის ლიცენზია 1.474 ავტომობილს აქვს

თბილისში ტაქსის ლიცენზია 1.474 ავტომობილს აქვს. სწორედ ამდენმა ავტომობილმა გაიარა 1 აგვისტოდან დღემდე რეგისტრაცია თბილისის მერიის სპეციალურ საიტზე.

ნებართვის მისაღებად ტაქსის მძღოლებს ვადა 1 ოქტომბრამდე აქვთ, რის შემდეგაც ლიცენზიის არარსებობს შემთხვევაში დაჯარიმდებიან.

ტაქსით მომსახურების ნებართვის მიღება შეუძლია ფიზიკურ პირს, რომელსაც აქვს მართვის მოწმობა და სურს ანაზღაურების სანაცვლოდ მგზავრთა გადაყვანა, ავტოსატრანსპორტო საშუალებით, რომელსაც, მძღოლის სავარძლის გარდა, არაუმეტეს 8 დასაჯდომი ადგილი აქვს.

საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით გადაყვანის ნებართვა გაიცემა ერთჯერადად ერთი წლის ვადით.

ა) ავტოსატრანსპორტო საშუალებით მგზავრთა გადასაყვანად, ერთწლიანი ნებართვის მისაღებად, მძღოლი იხდის 100 ლარს.

ბ) ჰიბრიდული ავტომობილების შემთხვევაში – 50 ლარს.

გ) ელექტროძრავიანი მექანიკური სატრანსპორტო საშუალებით მგზავრთა გადაყვანა ნებართვის გაცემის საფასურისგან სრულად თავისუფალია.

მრავალსართულიან შენობებს შორის 5-მეტრიანი დაშორება სავალდებულო ხდება



მრავალსართულიანი შენობების 5 მეტრზე ახლოს მშენებლობა, შესაძლოა, აიკრძალოს. შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივით საქართველოს პარლამენტს მოქალაქე ანზორ ჯაიანმა მიმართა.

საკანონმდებლო წინადადების განხილვას დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი გეგმავს.

საკანონმდებლო წინადადება ადგენს ნორმებს სამშენებლო ობიექტების მდებარეობისა და ურთიერთგანლაგების შესახებ.

პროექტის მიხედვით, აკრძალულია მრავალსართულიანი შენობების აშენება:

ზღვის სანაპირო ზოლიდან 50 მეტრზე ნაკლებ მანძილზე;

მდინარეთა კალაპოტიდან, ტბის, სანიაღვრე არხებიდან 5 მეტრზე ნაკლებ მანძილზე;

მრავალსართულიანი შენობებიდან 5 მეტრზე ნაკლებ მანძილზე;

მრავალსართულიან შენობებთან, სახლებთან, თუ შენობის აშენება გამოიწვევს მზის სხივების შეკავებას და უკვე აშენებულ შენობებში მყოფი მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელყოფას;

ჭაობიანი ადგილებიდან 20 მეტრის რადიუსში;

აკრძალულია ჰორიზონტის ოთხივე ან სამი მხრიდან მრავალსართულიანი შენობების აშენება თუ მათ შორის დაშორებული მანძილი 20 მეტრზე ნაკლებია.

პროექტის მიხედვითვე, აკრძალულია 2 ათას მეტრზე მაღლა ტერიტორიაზე 4 სართულზე მეტი სიმაღლის შენობის აშენება და მისი სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 30 მეტრს. საქართველოში კი 100 მეტრზე მაღალი შენობის მშენებლობის აკრძალვაა შემოთავაზებული.

კანონპროექტი ჯარიმებსაც ითვალისწინებს, რომლებიც 500-დან 1000 ლარამდე მერყეობს.

საწვავი კიდევ გაძვირდა

ბოლო რამდენიმე დღეა, საწვავის ფასი საქართველოში კვლავ გაიზარდა.

როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, საწვავი გაძვირდა როგორც ბრენდირებულ, ისე არაბრენდირებულ სადგურებზე.

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის ხელმძღვანელის ვანო მთვრალაშვილის განცხადებით, საწვავის ფასები 2-3 თეთრით არის დაკორექტირებული. ამასთან, როგორც მან „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აღნიშნა, საწვავი ამ ეტაპზე მხოლოდ ზოგიერთმა კომპანიამ გააძვირა, თუმცა, მოსალოდნელია, რომ ფასების მატების ტალღა სხვა კომპანიების მიერაც გაგრძელდება.

– ფასები 2-3 თეთრით არის დაკორექტირებული და ეს ყველა ოპერატორს არ შეხებია. ამ ეტაპზე გაძვირება მოხდა ზოგიერთი როგორც ბრენდირებული, ისე არაბრენდირებული კომპანიის მიერ.

საწვავის ფასზე 2 ფაქტორი მოქმედებს. პირველია ის, რომ საერთაშორისო ფასები პლატცის მიხედვით გაზრდილია და ბოლო წლების განმავლობაში რეკორდულად ყველაზე მაღალ მაჩვენებელზეა. ხოლო მე-2 ამ ეტაპზე გაცილებით უფრო პრობლემური საკითხი არის – ლარის გაცვლითი კურსი დოლართან მიმართებაში. 1 აგვისტოს შემდეგ ეროვნული ვალუტა მნიშვნელოვნად არის გაუფასურებული. სწორედ ამ ფაქტორების გავლენაა ის, რომ ამ დღეებში 2-3 თეთრით გაიზარდა საწვავის ფასი და ასევე, ეს იქნება განმაპირობებელი, რომ უახლოეს პერიოდში ფასების მატების ტალღა უკვე სხვა კომპანიების მიერაც გაგრძელდება, – აღნიშნა მთვრალაშვილმა.

ბიუჯეტში მოგების გადასახადიდან შესული თანხა 65 მილიონით შემცირდა

მიმდინარე წლის 7 თვეში საქართველოს ბიუჯეტში მოგების გადასახადის სახით 479,4 მილიონი ლარი შევიდა.

აღნიშნული მაჩვენებელი დაახლოებით 65 მილიონი ლარით ნაკლებია გასული წლის ანალოგიურ პერიოდზე. 2017 წლის 7 თვეში საქართველოს ბიუჯეტში მოგების გადასახადიდან მიღებული თანხა 544,2 მილიონი იყო.

სამაგიეროდ, მიმდინარე წელს გაზრდილია ქონების გადასახადიდან ბიუჯეტში შეტანილი თანხები. მიმდინარე წლის 7 თვეში ბიუჯეტში 321,5 მილიონი ლარი შევიდა, გასულ წელს კი ქონების გადასახადიდან მიღებული თანხა 290,5 მილიონი ლარი იყო.

გადასახადებმა საქონელსა და მომსახურებაზე 7 თვეში 2018 წელს 3,317,302,252 შეადგინა, გასულ წელს კი ეს მაჩვენებელი 3,041,258,424 ლარი იყო.

მიწაში დამარხული ოქროს ეფექტი

რესურსები, რომელთაც სახელმწიფო არ იყენებს

სავალუტო ფონდის მისიამ საქართველოს ეკონომიკის 2018 წლის ზრდის პროგნოზი წლიურ 5,5 პროცენტამდე ასწია.

ეკონომიკის ექსპერტის, ირაკლი მაკალათიას შეფასებით, აღნიშნული პროგნოზი სავსებით რეალისტური, მაგრამ არასაკმარისია.

როგორც მაკალათია აღნიშნავს, იმისათვის, რომ გვქონდეს გაცილებით მაღალი ეკონომიკური ზრდა და ეს ყველაფერი მოსახლეობამ საკუთარ ჯიბეზე იგრძნოს, სახელმწიფომ ყველა მის ხელთ არსებული ბერკეტი უნდა აამუშაოს, რომელიც დღეს შესაძლოა მიძინებული იყოს.

– ჩვენ გვაქვს აქტივები, რომლებსაც არ ვიყენებთ. საუბარია აქტივებზე, რომლებიც არის სახელმწიფოს საკუთრება და რომელთა ეკონომიკური ღირებულებაც ნულის ტოლია. მათ არც სახელმწიფო აწარმოებს, არც კერძო სექტორი და

შესაბამისად, მიწაში დამარხული ოქროს ეფექტი აქვს.

ეს აქტივებია:

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომელთა 70%-ც (მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგებით) სახელმწიფო საკუთრებაა. იმისთვის, რომ უფრო მაღალი ეკონომიკური ზრდა გვქონდეს, მათი მოსახლეობაზე განკერძოებაა საჭირო.

წიაღისეული რესურსი – საქართველოში დაახლოებით 960 საბადო და ნახევრადძვირფასი და სანაკეთო ქვების გამოვლინებაა, რაც 100%-ით სახელმწიფო საკუთრებაა. ამ აქტივებზე 61 ლიცენზიაა გაცემული, რომელიც გარკვეულ პერიოდს მოიცავს. ლიცენზიის მფლობელის ინტერესში კი არ შედის, რომ მაღალტექნოლოგიური დანადგარები შეიტანოს, მისი მთავარი ინტერესია, დროულად იშოვოს ფული და წიაღისეული დაბალი ტექნოლოგიით მოიპოვოს.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები – გვაქვს უამრავი სახელმწიფო შენობა-ნაგებობა, რომელთა დაახლოებით 70-80% სახელმწიფო საკუთრებაშია. იმისთვის, რომ ეფექტურად მოხდეს მათი გამოყენება, ეს ქონება დროულად არის გადასაცემი კერძო საკუთრებაში.

ტყის რესურსი – საქართველოში ტყის რესურსი 100%-ით სახელმწიფო საკუთრებაა. ასეთი რამ კი თითქმის არც ერთ ქვეყანაში არ ხდება.

სახელმწიფო საწარმო – საქართველოში 135 სახელმწიფო საწარმოა, რომლებიც ბიუჯეტიდან ფინანსდებიან. ამ საწარმოებს რეალურად ჩვენი გადასახადებიდან ვაფინანსებთ და წაგებაზე მუშაობენ. არსებული ინფორმაციით, მათგან 7 საწარმო გაკოტრების გზაზე დგას. ანუ ყველა ეს აქტივი უნდა გადავიდეს კერძო საკუთრებაში, თუ გვინდა, რომ ქვეყანაში ორნიშნა ეკონომიკური ზრდა გვქონდეს, – აღნიშნავს მაკალათია.

მიხეილ ჯანელიძეზე მასალები პროკურატურას გადაეგზავნა

საგარეო საქმეთა სამინისტროს ახალი შენობისთვის დახარჯული მილიონები, შესაძლოა, მიხეილ ჯანელიძის წინააღმდეგ სამართლებრივი დევნის დაწყების მიზეზი გახდეს. ლეონიძის 3 ნომერში საგარეო უწყება ჯერ არ გადასულა, თუმცა შენობა ბიუჯეტს უკვე დაახლოებით 20 მილიონი ლარი დაუჯდა.

ტენდერის გარეშე, გამარტივებული წესით გაფორმებული ხელშეკრულებების ნაწილი არასამთავრობო ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში კორუფციის რისკების გამო აღმოჩნდა.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ გაშიფრული სქემის მიხედვით, პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა მიხეილ ჯანელიძეს სამინისტროს ახალი შენობის რემონტის დაწყებამდე საპროექტო სამუშაოებისთვის 737 ათასი ლარი გამოუყო. სამინისტრომ მეორე დღესვე ტენდერის გამოცხადების გარეშე, ხელშეკრულება ერთი დღის დაფუძნებულ კომპანია ლენდ მარკ პროჯექტს გაუფორმა, რომლის 100-პროცენტიანი წილის მფლობელი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, ვატო მახარობლიშვილის ძმა, ავთანდილ მახარობლიშვილია.

დოკუმენტებით ირკვევა, რომ ლენდ მარკ პროჯექტის დირექტორი ხათუნა კიკვაძეა. თუმცა, მისმა ოჯახმა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ხათუნა კიკვაძე ლენდ მარკ პროჯექტის დირექტორია, კურიერისგან შეიტყო.

კომპანიის დირექტორი კურიერის კითხვებს არ პასუხობს. მას ჩვენების მიცემა, სავარაუდოდ, პროკურატურისთვის მოუწევს. სანდრო წყარო რუსთავი 2-ს უყვება, რომ აუდიტის სამსახურმა საგარეო საქმეთა სამინისტროს შემოწმების დროს მინისტრის მოადგილის ძმისთვის გადარიცხული 737 ათასი ლარი საეჭვოდ მიიჩნია და დოკუმენტაცია მთავარ საგამოძიებო უწყებას გადაუგზავნა.

ყოფილმა მინისტრმა, მიხეილ ჯანელიძემ, კომენტარის გაკეთება არ ისურვა და სოციალურ ქსელში კურიერის შეტყობინებას არ უპასუხა.

საგარეო უწყების პრესასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ინფორმაციით, ჩატარდა კვლევა და გადაწყვეტილება ამის საფუძველზე მიიღეს. განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ პირი, რომელიც სატენდერო კომისიაში იყო და ხელშეკრულებას ხელი მოაწერა, ვატო მახარობლიშვილი არ ყოფილა, ის სხვა მოადგილე იყო.

რუსთავი 2-ის ინფორმაციით, მიხეილ ჯანელიძესთან კითხვები სამართალდამცველებს ექნებათ.

ნაციონალური მოძრაობის საპარლამენტო ფრაქციამ პარლამენტში საგარეო საქმეთა მოქმედი მინისტრი, დავით ზალკალიანი და ტენდერების სკანდალში გახვეული მისი მოადგილე, ვატო მახარობლიშვილი, დაიბარა. ფრაქციის თავმჯდომარე ამბობს, რომ სახეზეა უპრეცედენტო კორუფციული სკანდალი.

აუდიტის სამსახური საგარეო საქმეთა სამინისტროს შემოწმების დოკუმენტს რამდენიმე კვირაში გამოაქვეყნებს. კურიერის ინფორმაციით, აუდიტორებმა რამდენიმე მნიშვნელოვანი დარღვევა გამოავლინეს.

მიხეილ ჯანელიძე გიორგი კვირიკაშვილის მთავრობის მესამე მინისტრია, რომლის საქმიანობის შესწავლაც პროკურატურამ დაიწყო.

თავდაცვის სამინისტროს იურისტ დავით ღვინიაშვილს სავალუტო ჯიხურის გაძარცვას ედავებიან

თავდაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს, დავით ღვინიაშვილს, აღმაშენებლის გამზირზე მდებარე სავალუტო ჯიხურის გაძარცვას ედავებიან.

32 წლის ღვინიაშვილის საქმის განხილვა სასამართლომ უკვე დაიწყო.

საქმის მასალებით დგინდება, რომ სამინისტროდან გამოსული დავით ღვინიაშვილი აღმაშენებლის გამზირზე მდებარე სავალუტო ჯიხურს თავს დაესხა და დიდი ოდენობით თანხა გაიტაცა.

კურიერს ხელში ჩაუვარდა თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლის ჩვენება, რომელიც თავად დეტალურად აღწერს, როგორ დაესხა თავს სავალუტო ჯიხურს.

ჩვენებაში თავდაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი პოლიციასთან აღიარებს, რომ სავალუტო ჯიხურის მოლარეს მოკვლით ემუქრებოდა, მასზე იძალადა და დანაშაულის ადგილიდან მიიმალა.

სავალუტო ჯიხურზე თავდასხმიდან მეორე დღეს თავდაცვის სამინისტროს იურისტი სამსახურში დაბრუნდა და ოთხი თვის განმავლობაში ძალოვან უწყებაში მუშაობდა.

ვიდეოკამერის ჩანაწერების არსებობის მიუხედავად, ბრალდებულის დაკავება ცხელ კვალზე ვერ ან არ შეძლეს.

კურიერმა მოიპოვა სავალუტო ჯიხურის მფლობელის ჩვენება, სადაც ის ყვება, რომ თავდაცვის სამინისტროს ბრალდებულ თანამშრომელს მან მიაგნო. ბორკილები იურისტს სამინისტროს შენობაში დაადეს. შს კაპიტალ ექსჩეინჯის დირექტორს, ეკა გაბაშვილს, ახლა კამერების წინ საუბარი არ სურს.

სავალუტო ჯიხურზე თავდასხმის ამბავი თავდაცვის სამინისტრომ დამალა. ლევან იზორიას უწყების თანამშრომელი 14 ივნისს დააკავეს, თუმცა, 3 თვის განმავლობაში სამინისტროს განცხადება არ გაუვრცელებია.

ახლა ბრალდებული იურისტის გასათავისუფლებლად თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელსა და პროკურატურას შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობს და, შესაძლოა, ბრალდებული საპროცესო გარიგებით გაათავისუფლონ.

თებერვალში ჩადენილ დანაშაულზე საუბარს ერიდება ბრალდებულ დავით ღვინიაშვილის ოჯახიც. ისინი პროკურატურის გადაწყვეტილებას ელოდებიან.

ავთანდილ ხურციძეს ნიუ იორკის სასამართლომ 10 წლით პატიმრობა მიუსაჯა

ქართველი მოკრივე ავთანდილ ხურციძე ნიუ იორკის სასამართლომ რუსული კრიმინალური სინდიკატის წევრად ცნო და სასჯელის სახით 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

შეგახსენებთ, რომ ნიუ იორკში გასული წლის ივლისში 15 ქართველი დააკავეს, რომლებსაც ბრალად რუსული კრიმინალური სინდიკატის წევრობა ედებათ.

მათ შორის იყო ორი ქართველი სპორტსმენი – ავთანდილ ხურციძე და ლევან მაყაშვილი. მაყაშვილი მალევე გაათავისუფლეს.

ავარიას ვანში დედა და მისი 7 თვის შვილი ემსხვერპლნენ

ვანში ავტოსაგზაო შემთხვევას 2 ადამიანი ემსხვერპლა. დაღუპულები დედა და 7 თვის ბავშვი არიან.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში აცნობეს, საქმეზე დაწყებულია გამოძიება.

ერთმანეთს 2 მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა. საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-7 ნაწილით აღიძრა, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც გამოიწვია ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

ქუთაისში ძარცვის მცდელობის ბრალდებით ერთი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1994 წელს დაბადებული ლ. ს. ძარცვის მცდელობის ბრალდებით დააკავეს. დანაშაული 5-დან 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული ქუთაისში, ჭავჭავაძის გამზირზე, საღამოს საათებში, 1994 წელს დაბადებულ მ.ტ.-ს თავს დაესხა და ხელჩანთის გატაცება სცადა, თუმცა მან წინააღმდეგობა გაუწია. ლ.ს.-მ განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

პოლიციამ, ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ლ.ს. მომხდარიდან რამდენიმე დღეში დააკავა.

გამოძიება ძარცვის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს, საქართველოს სსკ-ს მე-19-178-ე მუხლების მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით.

თურქეთში ზღვაში საქართველოს მოქალაქე დაიკარგა

თურქეთში ზღვაში საქართველოს მოქალაქე დაიკარგა.

ამის შესახებ ინფორმაციას ტრაპიზონში საქართველოს გენერალური საკონსულო ავრცელებს.

საკონსულოს განცხადებით, თურქეთის დაბა ქემალფაშაში (10 კმ. სარფიდან), ტრაილერის მძღოლი საქართველოს მოქალაქე, გუშინ, 9 სექტემბერს, დაახლოებით 13:30 საათზე, ზღვაში ჩავიდა და, იქ მყოფი მძღოლების განცხადებით, დაიკარგა.

გახმაურებული საქმეების პროკურორებმა 30 ბინა გაინაწილეს

9-სართულიანი კორპუსი პრესტიჟულ უბანში

გორგასლის გამზირზე, პრესტიჟულ უბანში, 9-სართულიანი კორპუსის მობინადრეები მხოლოდ გახმაურებული საქმეების პროკურორები არიან. კორპუსი მათ ააშენეს და 30 ბინა გადაინაწილეს.

ბინის გასაღები უკვე გადაეცა მიხეილ სააკაშვილის საქმის გამომძიებელ დავით ბაინდურაშვილს.

ამავე კორპუსში ბინა მიიღო გიგი უგულავას საქმის გამომძიებელმა თამარ კუჭავამ.

პროკურორების კორპუსში ცხოვრობს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სამმართველოს უფროსი ალექსანდრე მუყასაშვილი, რომელმაც რუსთავი 2-ის ყოფილი მფლობელები დაზარალებულად ცნო.

პროკურორების კორპუსში მეშვიდე სართულზე შეხვდა ბინა კაბელების საქმის პროკურორს, თამარ აღლემაშვილს. მეექვსე და მეოთხე სართულები გაინაწილეს ციანიდის საქმის პროკურორებმა – გიორგი გუმბერიძემ და ჯარჯი წიკლაურმა.

ყველა გახმაურებული საქმის პროკურორმა ბინა მას შემდეგ მიიღო, რაც ხმაურიანი საქმეებზე ადამიანები პასუხისგებაში მისცა.

ადვოკატი ინგა არახამია იმ მოქალაქის ინტერესებს იცავს, რომელსაც გამომძიებელი დავით გუმბერიძე უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციას ედავება. საქმის შესწავლის დროს მან გაარკვია, რომ გუმბერიძის ქონებრივ დეკლარაციაში ელიტარული კორპუსის 4 ბინა არის ასახული.

ოფიციალური ინფორმაციით, 2014 წელს ტერიტორია პროკურატურის მაღალჩინოსნებმა ვითიბი ბანკისგან იყიდეს. მანამდე კი ეს ტერიტორია სამშენებლო კომპანია აქსისს ეკუთვნოდა, შემდეგ კომპანიამ მიწა ჯერ ვითიბი ბანკს, შემდეგ კი ბანკმა პროკურორებს მიჰყიდა.

გიორგი მუჯირი პროკურატურის ის მაღალჩინოსანია, რომელმაც 4 წლის წინ პროკურორების ამხანაგობა შექმნა. გიორგი მუჯირი კურიერთან ამტკიცებდა, რომ ყველა, ვინც ახლა ამ კორპუსის მობინადრეა, რამდენიმე წლის წინ თანამდებობის პირი არ ყოფილა და მაღალი რანგი მათ ბოლო პერიოდში მიიღეს.

პროკურორების კორპუსი თბილისში პირველი არ არის და საბჭოთა პრაქტიკის გაგრძელებას ჰგავს, როდესაც სპეცსამსახურების ანდა ძალოვანი უწყების თანამშრომლებისთვის საბჭოთა ხელისუფლება დამოუკიდებელ ნაგებობებს აშენებდა.

კომერსანტი, რუსთავი 2

სახალხო მკურნალილამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

პუტინი, ერდოღანი და როუჰანი იდლიბზე ვერ შეთანხმდნენ

სირიაში დაძაბულობა კულმინაციას უახლოვდება. ასადი იდლიბის შტურმისათვის ემზადება. ეს აშფოთებს დასავლეთს, უწინარეს ყოვლისა კი – აშშ-ს. ამას გარდა, იდლიბი თურქეთის ინტერესების ზონაშია. პრეზიდენტი ერდოღანიც ხმამაღლა გამოთქვამს შეშფოთებას მოვლენების შემდგომი განვითარების გამო.

თეირანში შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ის უთანხმოება, რომელიც რუსეთს, ირანსა და თურქეთს შორის არსებობს.

ერდოღანმა მოითხოვა, რომ იდლიბზე ასადის შეტევა შეჩერებულიყო და დადებულიყო შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. რუსეთისა და ირანის პრეზიდენტები ამას არ დაეთანხმნენ.

– ტერორისტები, რომლებიც იდლიბის პროვინციაში არიან გამაგრებულნი, უნდა განადგურდნენ! ჩემი აზრით, მათ უნდა ეყოთ გონება და იარაღი თავადვე დაყარონ, – თქვა პუტინმა.

ირანის პრეზიდენტმა როუჰანიმ, თავის მხრივ, უკანონო უწოდა სირიის ტერიტორიაზე ანტიტერორისტული კოალიციის ჯარების ყოფნას.

– ეს არის აშშ-ის მეთაურობით შექმნილი კოალიცია, რომელიც აშშ-ის ინტერესებს იცავს, – თქვა ირანის პრეზიდენტმა.

როუჰანიმ ხაზი გაუსვა, რომ სირიის ტერიტორიული მთლიანობა უნდა აღდგეს, ანუ ქვეყანა ყველა იმ უცხოურმა ფორმირებამ უნდა დატოვოს, რომლებიც იქ სირიის კანონიერი ხელისუფლების, ანუ ასადის ნებართვის გარეშე იმყოფებიან.

ერდოღანმა ხაზი გაუსვა, რომ თეირანის შეხვედრა ერთადერთი არ იქნება.

– დაგეგმილია გაეროს იმ წარმომადგენელთა შეხვედრა ჟენევაში, რომლებიც სირიის საკითხს კურირებენ, – თქვა თურქეთის პრეზიდენტმა.

თეირანის შეხვედრაზე ზოგადი დეკლარაცია მიიღეს. მასში ნათქვამია, რომ სირიის პრობლემა სამხედრო გზით ვერ გადაწყდება და უპირატესობა პოლიტიკურ მეთოდებს უნდა მიენიჭოს, თუმცა თავად იდლიბის შტურმის იდეა, რომელსაც რუსეთი და ირანი მხარს უჭერენ, ამისაგან შორს დგას.

დემოკრატიული მსოფლიო, უწინარეს ყოვლისა კი აშშ, იდლიბის შტურმის კატეგორიული წინააღმდეგია. პრეზიდენტმა ტრამპმა პირდაპირ განაცხადა, რომ არსებობს ასადის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების საშიშროება და ამერიკა ამას არ დაუშვებს. იდლიბის შტურმს თურქეთის პრეზიდენტიც ეწინააღმდეგება. ამ საკითხში თურქეთისა და დასავლეთის პოზიციები ერთმანეთს დაემთხვა.

აშშ-მ სალვადორიდან და პანამიდან ელჩები გამოიხმო

აშშ-ის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სალვადორიდან და პანამიდან ელჩები კონსულტაციისთვის გამოიხმოს.

ამის თაობაზე სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ნოერტმა განაცხადა.

მიზეზი სალვადორისა და პანამის მიერ ტაივანთან ურთიერთობის გაწყვეტაა.

აშშ-ს ოფიციალურად არ აქვს ურთიერთობა ტაივანთან, თუმცა რეალურად აშშ-ტაივანის თანამშრომლობა ინტენსიურ ხასიათს ატარებს.

ეგვიპტეში 75 ადამიანს სიკვდილი მიუსაჯეს

ეგვიპტის სასამართლოს წინაშე ორგანიზაცია „ძმები მუსლიმანების“ ლიდერები და აქტივისტები წარდგნენ.

მათ ბრალად დასდეს ეგვიპტის უშიშროების თანამშრომელთა მკვლელობა და შეიარაღებული აჯანყების მოწყობის მცდელობა.

75 ადამიანს სიკვდილი მიესაჯა, სხვებს – სხვადასხვა ვადით პატიმრობა.

ირანმა ქურთებს დაარტყა

ირანის სამხედრო საჰაერო ძალებმა განახორციელეს დარტყმა ერაყის ქალაქ კეიტ სანჯაკზე. ირანელთა სამიზნე ამ ქალაქში განთავსებული ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის შტაბბინა იყო.

შეტევის შედეგად 11 ადამიანი დაიღუპა. ბევრი დაიჭრა. დაღუპულთა შორის არიან პარტიის მდივანი მოუღოდი და ყოფილი ლიდერი აზიზი.

ირანის ხელისუფლება თავდასხმაში თავის მონაწილეობას უარყოფს და მომხდარს პროვოკაციას უწოდებს.

ავღანეთში „თალიბანის“ თავდასხმას 20 ძალოვანი ემსხვერპლა

ავღანეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში რადიკალური მოძრაობა „თალიბანის“ თავდასხმას 20 ძალოვანი ემსხვერპლა.

ამის შესახებ ადგილობრივ ხელისუფლებაზე დაყრდნობით ტელეარხი ტოლო ნიუსი იუწყება.

„თალიბანის“ წევრებმა ბაღლანის პროვინციაში რამდენიმე საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე თავდასხმა ღამით განახორციელეს. გავრცელებული ინფორმაციით, ამჟამად 13 საკონტროლო-გამშვებ პუნქტს და რამდენიმე სოფელს მებრძოლები აკონტროლებენ.

ტელეარხის ინფორმაციით, მომხდარზე პასუხისმგებლობა „თალიბანმა“ უკვე აიღო.

უკრაინულმა ეკლესიამ ავტოკეფალიისკენ სერიოზული ნაბიჯი გადადგა

რუსეთის საპატრიარქო იმუქრება

მსოფლიო პატრიარქმა ბართლომემ უკრაინაში თავისი წარმომადგენლები დანიშნა – ეპისკოპოსი დანიილი (აშშ) და ილარიონი (კანადა).

უკრაინის ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ფილარეტმა ეს შეაფასა, როგორც დიდი გამარჯვება.

– ჩვენ გადავდგით სერიოზული ნაბიჯი ჩვენი ავტოკეფალიის აღიარებისკენ, – თქვა კიევის პატრიარქმა.

რუსეთში მსოფლიო პატრიარქის ამ ნაბიჯს უაღრესად აგრესიულად შეხვდნენ. მოსკოვის საპატრიარქომ გააკეთა განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ მსოფლიო პატრიარქატი რუსეთის კანონიკურ ტერიტორიაზე შეიჭრა.

– ამას უპასუხოდ არ დავტოვებთ! – აცხადებს მოსკოვის საპატრიარქო.

რუსეთის ეკლესიის წარმომადგენელმა, მიტროპოლიტმა ილარიონმა განაცხადა, რომ, შესაძლოა, მოსკოვის საპატრიარქომ მსოფლიო საპატრიარქოსთან ურთიერთობებს გადახედოს.

– თუკი მსოფლიო პატრიარქი უკრაინული ეკლესიის ავტოკეფალიას აღიარებს, ჩვენ მასთან ურთიერთობას გავწყვეტთ, – ამბობს ილარიონი.

დონბასელ სეპარატისტებს დენის პუშილინი უხელმძღვანელებს

ე.წ. დონეცკის რესპუბლიკის მეთაური კვლავ შეიცვალა. ამ პოსტზე დიმიტრი ტრაპეზნიკოვის ნაცვლად დენის პუშილინი დაინიშნა. „რესპუბლიკის“ მეთაურის მოვალეობას ის მიმდინარე წლის ნოემბრამდე შეასრულებს, სანამ ე.წ. მეთაურის არჩევნები გაიმართება.

დენის პუშილინი 1981 წელს მაკეევკაში მუშის ოჯახში დაიბადა. უმაღლესი განათლება ვერ მიიღო, რადგან აკადემიური ჩამორჩენილობის გამო ინსტიტუტიდან გარიცხეს.

პუშილინს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ოდიოზურ კომპანია მმმთან და მის პრეზიდენტ მავროდისთან. დონბასში სეპარატისტული მოძრაობის დაწყებასთან ერთად გამოიკვეთა, როგორც სეპარატისტების ერთ-ერთი ლიდერი. პუშილინს კაბინეტური ყაიდის მოღვაწედ მიიჩნევდნენ, ამიტომ მებრძოლებთან კონფლიქტები ჰქონდა. ამის გამო ერთხანს იძულებული გახდა, ე.წ. დონეცკის რესპუბლიკის პოსტი დაეტოვებინა და მოსკოვში გადაბარგებულიყო, შემდეგ რუსი კურატორების დახმარებით დონეცკში დაბრუნდა და „სახალხო საბჭოს“ ჩაუდგა სათავეში. პუშილინი მინსკის შეხვედრებზე „დონეცკის რესპუბლიკას“ წარმოადგენდა.

ერთ-ერთ ინტერვიუში პუშილინმა თავისი შეხედულებები მოკლედ და ნათლად დააფიქსირა – მისი მიზანია ნოვოროსიის რესპუბლიკის შექმნა, დონეცკიდან ხერსონამდე.

პუშილინს ახლო ურთიერთობა აქვს პუტინის თანაშემწე ვლადისლავ სურკოვთან. მისი პოლიტიკური კარიერაც სურკოვის მხარდაჭერამ განაპირობა. პუშილინი იმ პირთა შორისაა, რომლებსაც ევროკავშირმა სანქციები დაუწესა.

უკრაინაში მის მიმართ სამშობლოს ღალატის ბრალდებით სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

არეულობა ბასრაში

ერაყის ქალაქ ბასრაში მასობრივი არეულობაა. ხალხის პროტესტის მიზეზი კორუფცია და დაბალი რანგის კომუნალური მომსახურება გახდა. შემდეგ ეს ყველაფერი ანტიირანულ გამოსვლებში გადაიზარდა. ხალხი ირანის საკონსულოს შენობაში შეიჭრა და მას ცეცხლი წაუკიდა.

ამის შემდეგ უცნობმა პირებმა ბასრას აეროპორტს რაკეტები დაუშინეს. პასუხად ერაყის ხელისუფლებამ ქალაქში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა.

შემოღებულია კომენდანტის საათი.

კადიროვი ინგუშებს ედავება

უკანასკნელ ხანს ჩეჩნებსა და ინგუშებს შორის დავა წარმოიქმნა. მიზეზი ჩეჩნეთის მარიონეტული პრორუსული ხელისუფლების მეთაურის რამზან კადიროვის პოლიტიკაა.

ინგუშეთის საზღვარზე სამშენებლო ტექნიკა გამოჩნდა. მას შეიარაღებული ხალხიც ახლდა. კადიროვის ხალხი შეეცადა, საზღვარი ინგუშეთის სიღრმისკენ გადაეტანა.

– ჩეჩნეთსა და ინგუშეთს შორს საზღვარი სინამდვილეში იქ გადის, – თქვა კადიროვმა.

ინგუშები ამას შეეწინააღმდეგნენ. პასუხად კადიროვმა შექმნა კომისია, რომელმაც ჩეჩნეთ-ინგუშეთს შორის საზღვარი უნდა დაადგინოს.

„უკრაინელები არ შემოვუშვათ!“

პოლონეთში ანტიუკრაინული მიტინგი გაიმართა

პოლონეთის ქალაქ ვროცლავში ანტიუკრაინული მიტინგი გაიმართა. ის ულტრამემარჯვენე პრორუსული ძალების მიერ იყო ორგანიზებული.

მიტინგზე ითქვა, რომ პოლონეთში მკვიდრი მოსახლეობა იჩაგრება, რადგან ყველგან უკვე უკრაინელები მუშაობენ. მიტინგის ორგანიზატორთა გაღიზიანებას იწვევს ისიც, რომ უკრაინელებს მაისურებზე აწერიათ: „დიდება უკრაინას, გმირებს დიდება!“

– აღნიშნული ლოზუნგით ბანდერელები პოლონელებს ხოცავდნენ! – ამტკიცებდნენ მიტინგის ორგანიზატორები.

მიტინგის მონაწილეებს დაურიგდათ ფურცლები, რომლებიც პოლონელებისადმი მიმართვას შეიცავს. მათში ნათქვამია, რომ ხელისუფლებამ „იდიოტური“ მიგრაციული პოლიტიკა უნდა შეწყვიტოს და უკრაინელებს ქვეყანაში შემოშვებაზე უარი უთხრას.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

სხვადასხვა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ერთა ლიგა ეშხში შედის

ლიგა ა. 4 ჯგუფი

ინგლისი-ესპანეთი 1:2

ლონდონი. უემბლი

1:0 რეშფორდი (11), 1:1 საული (13), 1:2 როდრიგო (32)

ინგლისი: პოკფორდი, გომესი, სტოუნზი, მაგუიარი, ტრიპიერი, შოუ (როუზი 53), ჰენდერსონი (დაიერი 64), ლინგარდი, ალი, რეშფორდი (უელბეკი 90), კეინი

ესპანეთი: დე ხეა, კარვახალი, ნაჩო, რამოსი, ალონსო (ინიგო მარტინესი 87), ბუსკეტსი, საული, ალკანტარა (სერხი რობერტო 80), ისკო, ასპასი (ასენსიო 68), როდრიგო

ძალიან დრამატული და საინტერესო გამოდგა უემბლის სტადიონზე გამართული მატჩი, რომელიც საბოლოოდ ესპანელთა გამარჯვებით დასრულდა.

არადა, ლუის ენრიკეს შეგირდები მე-11 წუთზე აგებდა – ჰარი კეინის შესანიშნავის პასის შემდეგ მარკუშ რეშფორდმა გახსნა ანგარიში. ინგლისელთა სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა: ორიოდე წუთში საულ ნიგესმა თანაფარდობა აღადგინა, ხოლო

32-ე წუთზე როდრიგომ წინ გაიყვანა ესპანელები. როგორც აღმოჩნდა, ეს გოლი სამქულიანიც გამოდგა.

ლიგა ა. 2 ჯგუფი

შვეიცარია-ისლანდია 6:0

სენტ გალენი. კიბუნპარკი

1:0 ზუბერი (13), 2:0 ზაკარია (23), 3:0 შაქირი (53), 4:0 სეფეროვიჩი (67), 5:0 აიეტი (71), 6:0 მეჰმედი (82)

რთული და დიდი ბრძოლა იყო მოსალოდნელი. ექსპერტებიც კი ვარაუდობდნენ, რომ მოიგებდა ის, ვინც 1 გოლს გაიტანდა.

თუმცა, ის ისლანდიური ბრძოლისუნარიანობა, რომელიც განვლილ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ჰქონდა, შვეიცარიაში ჩაიკარგა.

გოლები ყველამ გაიტანა, ვისაც არ დაეზარა. კარნავალი კი ზუბერმა დაიწყო, ზაკარიამ, შაქირმა, სეფეროვიჩმა, აიეტმა და მეჰმედმა ბოლო მოუღეს ისლანდიის ნაკრებს. აღსანიშნია ის ფაქტიც, რომ შვეიცარიელებს კიდევ 2 გოლი არ ჩაუთვალეს.

ლიგა 3. 3 ჯგუფი

ჩხრ. ირლანდია-ბოსნია 1:2

ბელფასტი. უინზორ პარკი

0:1 დულევიჩი (36), 0:2 სარიჩი (64), 1:2 გრიგი (90)

ბოსნიელებმა სწორად და გამართულად ითამაშეს ბელფასტში და შინ სამართლიანად დაბრუნდნენ 3 ქულით.

პირველ ტაიმში ანგარიში დულევიჩმა გახსნა, მეორე ტაიმის შუაწელში კი, სარიჩმა ანგარიში გააორმაგა. თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ჩრდილოეთ ირლანდიამ გაიბრძოლა და მსაჯის მიერ კონპენსირებულ დროში, სხვაობა შეამცირა, მაგრამ, ეს იყო და ეს...

ლიგა გ. 2 ჯგუფი

ფინეთი-უნგრეთი 1:0

ტამპერე. რატინანი

1:0 პუკი (7)

ეს გუნდები ერთა თასზე ერთ ჯგუფში არიან, ორივეს უნდა შემდეგ ეტაპზე გასვლა, მაგრამ ამას ჯერჯერობით ვერ ახერხებენ.

გადამწყვეტი გამოდგა ჰუკის გოლი, რომელიც მატჩის დასაწყისშივე გავიდა და ფინელებმა მშვენიერი განაცხადი გააკეთეს.

ესტონეთი-საბერძნეთი 0:1

ტალინი. ლე კოკ არენა

0:1 ფორტუნისი (14)

ევროპის სუპერთასის შემდეგ ესტონეთის დედაქალაქმა ერთა თასს უმასპინძლა. თუ სუპერთასზე ადგილობრივი გულშემატკივრები სანახაობით დატკბნენ, ამჯერად სასიხარულო არაფერი ჰქონდა, რადგან მასპინძლები ფორტუნისის ერთადერთი გოლის წყალობით დამარცხდნენ ბერძნებთან.

ბერძნები იბრძოლებენ ზედა დივიზიონში აღსაზევებლად, ესტონელებს კი, სავარაუდოდ, დაქვეითება არ ასცდებათ.

ლიგა დ. 2 ჯგუფი

ბელარუსი-სან მარინო 5:0

მინსკი. დინამო

1:0 სტასევიჩი (4), 2:0 დრაგუნი (26), 3:0 საროკა (67პ), 4:0 დრაგუნი (87), 5:0 კოვალიოვი (90)

საქართველოს დივიზიონში მოთამაშე გუნდები ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა, რადგან მომავალი სავარაუდო მეტოქეები იკვეთება. ერთ-ერთი მათგანი ბელარუსის ნაკრებია, რომელმაც უპრობლემოდ, 5:0 დაამარცხა სან მარინო.

ლუქსემბურგი-მოლდოვა 4:0

ლუქსემბურგი. ხოსე ბარტელი

1:0 მელგეტი (34), 2:0 ტილი (60), 3:0 სინანი (75), 4:0 მარტინისი (83)

ამ ჯგუფის კიდევ ერთი საინტერესო გუნდია ლუქსემბურგი, რომელმაც მოლდოვა 4:0 გაანადგურა და ბელარუსებს ხმაურიანი განცხადება გაუგზავნეს, სადაც წერია, რომ სლავები ფავორიტები მარტო ფურცელზე არიან. ლუქსემბურგი ბელარუსებისთვის უხერხული მეტოქეც არის.

ამერიკა 20 წლის იაპონელმა დაიპყრო

ამერიკის ღია პირველობის ფინალში მსოფლიო რეიტინგის მე-19 ნომერმა ნაომი ოსაკამ სერენა უილიამსი (სადღეისოდ 26 ჩოგანი) 2 სეტში დაამარცხა (6:2, 6:4) და კარიერაში პირველად გახდა დიდი სლემის გამარჯვებული.

20 წლის იაპონელი ჩოგბურთელი გახდა არათუ პირველი იაპონელი, არამედ, პირველი აზიელი, ვინც ამერიკის ღია პირველობა მოიგო და ვერცხლის თასი აღმართა.

ოსაკას გამარჯვებას ცოტა ვინმე თუ ელოდა. მეტიც, ფინალში გასვლასაც ვერ უწინასწარმეტყველებდნენ. სერენა უილიამსს კი დიდი მიზნებიდან ერთადერთიღა დარჩა მისაღწევი – მინიმუმ გაიმეოროს ავსტრალიელი მარგარეტ კორტის ფანტასტიკური შედეგი. საქმე ის არის, რომ კორტს კარიერაში დიდი სლემის სერიის ერთეულთა ყველაზე მეტი, 24 ტურნირი აქვს მოგებული, სერენას – 23. ასე რომ, სერენას კიდევ ერთი დიდი სლემი სჭირდება.

ფინალური მატჩი საათსა და 19 წუთს გაგრძელდა, მაგრამ ანგარიშისა და ხანმოკლეობის მიუხედავად, ძალიან დაძაბული გამოდგა. დაძაბულობას ისიც მატებდა, რომ უილიამსმა საშეჯიბრებო დისციპლინა არაერთხელ დაარღვია, რისთვისაც დაისაჯა კიდეც.

უილიამსმა მამაკაცი მსაჯი სექსიზმში დაადანაშაულა და მისი გადაწყვეტილებებით უკმაყოფილება ძალზე ემოციურ და ზღვარგადასულ ფორმებში გამოხატა, თუმცა პირველი გაფრთხილება და სასჯელი მან მწვრთნელის გამო მიიღო, რომელიც ტრიბუნიდან კარნახობდა სერენას და რჩევებს აძლევდა, რაც დაუშვებელია.

ამ კარნახით მხოლოდ სერენამ იზარალა: ჯერ გაფრთხილება მიიღო. შემდეგ კი, ნერვები ვერ მოთოკა და ჩოგანი დაამტვრია, რის გამოც ქულით დაისაჯა, ხოლო როცა ანგარიში 4:3 იყო, ლეგენდარული ამერიკელი მსაჯის კოშკურასთან მივიდა და რეფერის ყველაფერი უთხრა, რასაც მასზე ფიქრობდა. ამისთვის უილიამსი უკვე გეიმის წაგებით დასაჯეს, რის შემდეგაც უმცროსმა უილიამსმა არბიტრს ყვირილი დაუწყო, სექსიზმში დაადანაშაულა და კორტზე ამერიკის ღია პირველობის მთავარ არბიტრს უხმო, მაგრამ ამ უკანასკნელმა კოლეგის მხარე დაიჭირა...

ოსაკა კი უემოციოდ და მეთოდურად იგებდა ამ მატჩს და არ არის გამორიცხული, რომ საჩოგბურთო სამყარომ კიდევ ერთი ვარსკვლავი შეიძინოს – 20 წლის იაპონელი ნაომი ოსაკა!

გაგრძელება მე-10 გვერდზე

დეტროიტი ფაჩულიაზე – ზაზა საჭირო კაცია

ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის კლუბ დეტროიტ პისტონსის ვებგვერდმა გუნდის ყველა ახალწვეულზე სტატიების გამოქვეყნება დაიწყო. ცხადია, მათ რიგში მოხვდა ზაზა ფაჩულიაც.

ვნახოთ, რას წერს ქართველი კალათბურთელის შესახებ ახალი კლუბი.

– მას მერე, რაც დეტროიტ პისტონსმა პლეიოფში ვერ გააღწია, გუნდის მფლობელმა ტომ გორსმა კლუბში განვითარების კურსი შეცვალა. მენეჯმენტს კი ედ სტეფანსკი ახორციელებს – პირველი, რაც მან გააკეთა, ის იყო, რომ გუნდში ნბა-ს წლის საუკეთესო მწვრთნელი დუეინ კეისი მიიწვია.

გუნდის შემადგენლობა უკვე ჩამოყალიბებულია, მალე საწვრთნელი ბანაკიც აიღებს სტარტს. მათ შორის, ზაზა ფაჩულიაც, რომელმაც გოლდენ სტეიტში სასტარტო ხუთეულში 57 მატჩი დაიწყო, თავად გოლდენი კი ბოლო 4 სეზონში მესამედ გახდა ასოციაციის ჩემპიონი. ზაზა საშუალოდ 14.1 წუთს თამაშობდა, რაც მის ხანგრძლივ კარიერაში მესამე ყველაზე მცირე დროა. უორიორსში მისი მთავარი საქმე „სქრინების დაყენება“, მოხსნები, საშუალო მანძილიდან სროლები და საჯარიმოების ზუსტად შესრულება იყო. ფაჩულიას როლი გუნდში მკვეთრად შემცირდა ოლ სტარის მატჩის შემდეგ. ამბობენ, რომ ამის მიზეზი ანალიტიკური რეპორტაჟია, რომელიც გუნდის ხელმძღვანელობას სემი გელფანდმა შესთავაზა.

ანალიტიკის მიხედვით, ზაზასთან ერთად უორიორსი დაცვაში ზარალდებოდა, ამიტომ მის ნაცვლად სასტარტოში ჯავალ მაკგი დააყენეს. სხვათა შორის, სემი გელფანდმა ზაფხულში დატოვა გოლდენ სტეიტი და ახლა... პისტონსის ანალიტიკოსია.

ზაზა საშუალოდ 36 წუთში 13.8 ქულასა და 11.9 მოხსნას აკეთებდა. ის თამაშიდან 56%-ს აგდებდა, ხოლო საჯარიმოს ხაზიდან – 80%-ს.

ნბა-ში ფაჩულიას 1.030 თამაში აქვს ჩატარებული და ამ მაჩვენებლით მოქმედ კალათბურთელებში მე-16 ადგილზეა. ქართველი კალათბურთელი ასოციაციაში 19 წლის ასაკში დრაფტის 42-ე ნომრად ორლანდომ აირჩია. ფაჩულია ორლანდოში როტაციის კალათბურთელი იყო, ხოლო 21 წლის ასაკში ატლანტაში სასტარტო ცენტრი გახდა. მას ასევე უთამაშია მილუოკისა და დალასში.

ფაჩულიამ თამაშების ნახევარი (513) სასტარტო ხუთეულში დაიწყო. კარიერაში საშუალოდ 21 წუთს თამაშობს. საუკეთესო სეზონი ქულების მხრივ (12.2 ქულა) 12 წლის წინათ ჰქონდა ატლანტაში. ის ახლაც კარგი მომხსნელია – 3 წლის წინათ დალასში საკუთარი რეკორდი დაამყარა (9.4 მოხსნა თამაშში).

რა როლი ელის ფაჩულიას პისტონსში, რომელმაც მხარი აუწყო ასოციაციის მოდას და მხოლოდ 2 ნაღდი ცენტრი ჰყავს – დრამონდი და ფაჩულია. მაგრამ შეცვლაზე ცენტრის ყველა სათამაშო წუთს ზაზა ვერ შეავსებს. თუმცა, გუნდში ამ პოზიციაზე თამაში ჯონ ლუერს, ჰენრი ელენსონსა და თვით ბლეიკ გრიფინს შეუძლიათ.

ფაჩულია ფიზიკურად კარგად გამოიყურება, რაც მთავარია, მას არ დაუკარგავს ოსტატობა. ასე რომ, მთავარი შემცვლელი ცენტრის პოზიციაზე ქართველი იქნება. კეისის შეუძლია დაეყრდნოს ვეტერან ცენტრს. ფაჩულიას კიდევ ერთი უპირატესობა, რეპუტაციაა. ზაზას ახალგაზრდა კალათბურთელები ყოველთვის მოუსმენენ, ხოლო მწვრთნელს არ ექნება პრობლემა, თუ ზაზას ყოველდღიურად არ ათამაშებს, ქართველი ცენტრი ამას გაგებით შეხვდება.

ფაჩულიას კარგი სეზონი ექნება თუ ისევ იმ კონდიციაში იქნება, როგორშიც მთელი კარიერის განმავლობაშია. ზაზას გუნდისთვის სარგებელი მრავალი მიმართულებით მოაქვს: სამაგალითოა ახალგაზრდებისთვის; პისტონსის ყოფილი სათადარიგო ცენტრების ფონზე, გაუმჯობესებაა დაცვაში გუნდის თამაშში; შეუძლია მოულოდნელი, ჭკვიანური პასების გაკეთება; მებრძოლია, ნამდვილი ლიდერი; ზაზას ეს თვისებები უნდა დაეხმაროს პისტონსს არა მარტო მოხვდეს პლეი ოფში, არამედ, იქ უკეთესი პოზიციაც მიიღოს.

ნაკრებში ჩამოსვლამდე ლეგიონერები კარგად გაისარჯნენ

საქართველოს საკალათბურთო ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ისრაელთან სტუმრად (13 სექტემბერი) და საბერძნეთთან საშინაო (16 სექტემბერი) მატჩებისთვის აქამდე შეთხელებული შემადგენლობით ემზადებოდა. გუნდს შეუერთდებიან ლეგიონერები – თორნიკე შენგელია, გიორგი შერმადინი და გოგა ბითაძე.

თბილისში ჩამოსვლამდე მათმა გუნდებმა მორიგი ამხანაგური მატჩები გამართეს.

შენგელიას ბასკონია ტარაგონაში მოვისტარს შეხვდა და 83:62 იმარჯვა. გუნდის ქართველმა კაპიტანმა ამჯერად (პირველ ამხანაგურში 27 ქულა ჩააგდო) 11 ქულა და 5 მოხსნა იკმარა.

შერმადინის უნიკახა მცირე მასშტაბისა და პროფილის ტურნირზე მონაწილეობს, სადაც მალაგელებმა ფუენლაბრადას 107:82 მოუგო. ნაკრებში გამომგზავრების წინ გიორგიმ 15 წუთში 12 ქულა ჩააგდო, მის ანგარიშზე 2 მოხსნა და 1 პასიცაა.

ბითაძის მეგა ბიმაქსი ათენის აეკ-ს შეხვდა და 97:104 დამარცხდა. გოგა მატჩში საუკეთესო იყო 27 ქულითა და 8 მოხსნით (35 მარგი ქმედების კოეფიციენტი).

ახალგაზრდული ნაკრების უგოლო ფრე აუტსაიდერთან

ლიეტუვა-საქართველო 0:0

გარგზდი. მიესტო სტადიონასი

ლიეტუვა: კრაპიკასი, სადაუსკასი, შვეიკაუსასი, სილკატისი (დომბრაუსკისი 68), ლევშინასი, შიმკუსი, მატელივიჩიუსი, ვირკშასი, იანკაუსკასი (მილაშიუსი 87), ანტანავიჩიუსი, ბანიულისი (გიზასი 78)

საქართველო: გუგეშაშვილი, კობოური, ქანთარია, გიორგაძე, ზარანდია, შულაია (არველაძე 88), ხარაიშვილი, თევზაძე, ბერიძე (კოხრეიძე 71), მაჭარაშვილი (ნინუა 88), მიქელთაძე

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა მორიგი ცუდი მატჩი ჩაატარა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპზე. გია ცეცაძის გუნდმა მე-8 ტურის შეხვედრაში ჯგუფის აუტსაიდერის, ლიეტუვას ნაკრების დამარცხება ვერ მოახერხა – 0:0.

მართალია, უპირატესობას ძირითადად გია ცეცაძის გუნდი ფლობდა, ბურთსაც აკონტროლებდა, მაგრამ ეს იყო და ეს – რეალური მომენტის შექმნას ქართველები ვერ ახერხებდნენ. თავის მხრივ, არც ლიეტუველებს ჰქონიათ რაიმეს შანსი და შედეგიცა და ანგარიშიც კანონზომიერია...

ამ მატჩის შემდეგ საქართველომ 9 ქულა მოაგროვა და 6-გუნდიან ჯგუფში მეოთხე პოზიციაზეა. გია ცეცაძის გუნდი მომდევნო მატჩს უშუალო კონკურენტ ფინეთთან გამართავს, რომელიც მესამე პოზიციაზე იმდენი ქულითაა, რამდენიც საქართველოს აქვს, თუმცა, სკანდინავიელებს მატჩით ნაკლები აქვთ ჩატარებული.



სანემ გერმანიის ნაკრები დატოვა

გერმანიის ეროვნული ნაკრების პრესსამსახურის ტვიტერის გვერდზე დაყრდნობით, ცნობილი ხდება, რომ მანჩესტერ სიტის შემტევმა ნახევარმცველმა ლეროი სანემ გერმანიის ეროვნული ნაკრები დატოვა და პერუს წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში მონაწილეობას არ მიიღებს.

– ლეროი სანემ იოახიმ ლიოვთან საუბრის შემდეგ გერმანიის ეროვნული ნაკრების დატოვება პირადი მიზეზების გამო გადაწყვიტა და, შესაბამისად, პერუსთან გასამართ ამხანაგურ მატჩში მონაწილეობას ვერ მიიღებს, – ნათქვამია გერმანიის ეროვნული ნაკრების პრესსამსახურის განცხადებაში.

უეფას ეროვნული ლიგის პირველ ტურში გერმანიის ნაკრებმა საფრანგეთს უმასპინძლა და მეტოქეები უგოლო ფრეს დასჯერდნენ. ლეროი სანე შეხვედრაში 83-ე წუთზე მარკო რისის ნაცვლად ჩაერთო.

ზაფხულში სანემ 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატი გამოტოვა, რადგან იგი მთავარმა მწვრთნელმა გერმანიის ეროვნული ნაკრების განაცხადს მიღმა დატოვა.

სავარაუდოდ, სანე გერმანიის ნაკრებში ლიოვის მწვრთნელობის პერიოდში აღარ ითამაშებს.

შედეგები

8 სექტემბერი

ფეხბურთი

უეფას ერთა თასი

ინგლისი-ესპანეთი	1:2
შვეიცარია-ისლანდია	6:0
ჩრ.ირლანდია-ბოსნია	1:2
ფინეთი-უნგრეთი	1:0
ესტონეთი-საბერძნეთი	0:1
ბელარუსი-სან მარინო	5:0
ლუქსემბურგი-მოლდოვა	4:0

ჩოგბურთი

ამერიკის ღია პირველობა

ქალები – ფინალი

ს.უილიამსი-ოსაკა	4:6,2:6

მოამზადა მისეილ ჟორჟოლიანმა

საქართველომ ლატვიას მოუგო და ჯგუფის ლიდერი გახდა

გუშინ, 9 სექტემბერს, თბილისის პაიჭაძის სტადიონზე ერთა ლიგის მეორე ტურის მატჩში საქართველომ ლატვიას უმასპინძლა.

პირველი ტურში საქართველომ სტუმრად ყაზახეთი დაამარცხა, ლატვიამ კი შინ ანდორას ვერ მოუგო. შესაბამისად, საქართველოს ნაკრები ფავორიტად ითვლებოდა, თუმცა ისიც ცხადი იყო, რომ ლატვიის დამარცხება გაუჭირდებოდა.

ანდორასთან სახლში ფრედ დასრულებული მატჩის შემდეგ ლატვიის ნაკრების მწვრთნელი მიკსუ პაატელაინენი გააკრიტიკეს და მანაც სანახევროდ შეცვლილი შემადგენლობა გამოიყვანა „დინამო არენაზე“. ცვლილებები განსაკუთრებით შემტევებს შეეხო.

ვლადიმირ ვაისმა ყაზახეთთან მოგებულ შემადგენლობაში ორი ცვლილება განახორციელა – მერებაშვილის ნაცვლად ოქრიაშვილი, ხოლო ტრავმირებული ქვილითაიას მაგივრად კაჭარავა დააყენა ძირითადში.

სტუმრები თავიდანვე მთელი გუნდით დაცვაში ჩადგნენ და მასპინძლებს მათი მასირებული დაცვის გარღვევა უჭირდათ, სახიფათო მომენტებამდე საქმე არ მიდიოდა.

მე-18 წუთზე ჩაკვეტაძე მარჯვენა ფლანგზე შეიჭრა საჯარიმოში, მისი ჩაწოდებული ბურთი მეტოქისგან ყაზაიშვილს მიუვიდა, მაგრამ დარტყმა არაზუსტი გამოვიდა.

საქართველოს ნაკრები ორივე ფრთიდან უტევდა, ცენტრიდანაც, თუმცა უშედეგოდ. საჯარიმოში ჩაწოდებებიც არ იყო სახიფათო, ვინაიდან მეურვეებს კაჭარავა განეიტრალებული ჰყავდათ.

პირველად კარში ჩვენმა გუნდმა 37-ე წუთზე დაარტყა ზუსტად, როდესაც ჩაკვეტაძის საჯარიმოს გარედან გასროლილი ბურთი მეკარის ადვილი ნადავლი შეიქნა.

პირველი ტაიმი ფრედ, 0:0 დასრულდა.

ვითარება ძირეულად არც მეორე ტაიმში შეცვლილა. ქართველები უტევდნენ, სტუმრები კი კონტრშეტევებით პასუხობდნენ და ერთ მომენტში კინაღამ გოლიც გაიტანეს, მაგრამ საჯარიმოს ცენტრიდან თავით დარტყმული ბურთი მეკარე ლორიამ ლამაზ ნახტომში აიღო.

შეხვედრის 74-ე წუთზე მასპინძელთა ახალგაზრდა ვარსკვლავმა გიორგი ჩაკვეტაძემ კიდევ ერთხელ გამოიჩინა თავი. მან მარჯვენა ფრთიდან სახიფათოდ შეუტია ლატვიელებს და მათაც საჯარიმოში მოცელეს ქართველი შემტევი.

პენალტი თორნიკე ოქრიაშვილმა ზუსტად დაარტყა და მასპინძლები 1:0 დაწინაურდნენ.

შეხვედრი ბოლოსკენ სტუმრებმა ტემპს და შეტევებს მოუმატეს. მათ განსაკუთრებით მსაჯის მიერ დამატებულ წუთებში იაქტიურეს, მაგრამ საქართველომ ლატვიელთა ყველა შეტევა მოიგერია და მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანა – 1:0.

ამ მოგების მერე საქართველოს ნაკრებმა ჯგუფში ქულათა მაქსიმუმი – 6 ქულა მოაგროვა და ჯგუფის ლიდერი გახდა.

მანჩესტერში მაინც ზიდანზე ფიქრობენ

მთლიანი გასული კვირის განმავლობაში არ წყდებოდა სპეკულაციები ჟოზეს წასვლასთან დაკავშირებით და ბრიტანული გამოცემა მირორი საკმაოდ ხმაურიან ინფორმაციას ავრცელებს, რომ ზიდანი მზადაა მოურინიოს ჩასანაცვლებლად და მეტიც, მან უკვე დაასახელა იმ ფეხბურთელების მოკლე სია, რომლებიც, შესაძლოა, მისი მწვრთნელობის შემთხვევაში, იუნაიტედის მაისურში ვიხილოთ.

გთავაზობთ ამ ფეხბურთელების მოკლე სიას: ტონი კროოსი, ტიაგო ალკანტარა, ხამეს როდრიგესი, ედისონ კავანი.

სია საკმაოდ საინტერესოა. თუმცა, ყოველი მათგანი კარიერის განმავლობაში ძალიან ახლოს თუ არა ნამდვილად იყო იუნაიტედის რადარზე და ტიაგო ალკანტარას შემთხვევაში, ბოლო წუთს შეიცვალა ყველაფერი და ესპანელი მიუნხენის ბაიერნის შემოთავაზებას დათანხმდა.

არა მგონია, არსებობდეს გულშემატკივარი ან ექსპერტი, რომელიც უარყოფითად შეხვდება ტონი კროოსის იუნაიტედში ტრანსფერს, გერმანელი ყველა ასპექტში იდეალური ნახევარმცველია, ზუსტი პასებითა და სნაიპერული სიზუსტის დარტყმით. „ეშმაკებს“ ხამესის გამოყენება, ყველაზე პრობლემურ, მარჯვენა ფლანგზე შეუძლიათ, რამდენად პროდუქტიული იქნება ფლანგზე სხვა საკითხია, თუმცა სწორედ ამ პოზიციაზე უწევდა თამაში რეალში გარეტ ბეილის ტრავმიანობის პერიოდში. რაც შეეხება ედისონ კავანის – ეს ის პოზიციაა, სადაც იუნაიტედს ნამდვილად არ აქვს პრობლემები, მოკლედ და კონკრეტულად, რომ ვთქვათ, ედისონ კავანის გუნდში ყოფნის საჭიროება ნამდვილად არ დგას. ძალიან კარგია ლუკაკუ ფორვარდის პოზიციაზე და მის არ ყოფნაში ამ საქმეს მეტნაკლებად კარგად ასრულებს მარკუს რაშფორდიც.

ზიდანი, როგორც საფეხბურთო ავტორიტეტი, ნამდვილად გზას გაუხსნის კლუბს ბევრი ისეთი ტრანსფერისკენ, რომელზეც მოურინიოს ყოფნის პირობებში არც კი უნდა ეფიქრა.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

კროსვორდი



1. ტვირთი გემის ფსკერზე; 2. სიგრძის ძველფრანგული საზომი ერთეული; 3. ისტორიული მხარე დასავლეთ საქართველოში; 4. ყვავილი; 5. უნგრელი მათემატიკოსი; 6. დიდი, დაშვებული მუცელი; 7. მაუგლის მეგობარი დათვი; 8. კედლის სანათი; 9. სასროლეთი; 10. მთავარი საწყობი; 11. სახის ნაწილი; 12. თურინჯი; 13. „მეფე ...“; 14. ხვიარა მცენარე; 15. კუროსავას ფილმი; 16. კურორტი თურქეთში; 17. ქართველი შოუმენი; 18. მუშაობის საზომი ერთეული; 19. მონარქის ტიტული აღმოსავლეთის რიგ ქვეყნებში; 20. ამერიკის კინოაკადემიის პრემია; 21. იუპიტერის თანამგზავრი; 22. პატარა ლოქო; 23. კამეჩის გასარეკი შეძახილი; 24. ვაზის წვრილმტევნიანი რქა; 25. ბილიარდის ჯოხი; 26. მეხუთე ნოტი; 27. უკრაინის ფულის ერთეული; 28. დურგალი; 29. ... პაჩინო; 30. მცენარე ცხარე ფესვით; 31. მრავალთავიანი წყლის გველი ბერძნულ მითოლოგიაში; 32. დროშა; 33. ორიანი ნარდში; 34. მეექვსე ნოტი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. მეტელი; 2. გრეგორი; 3. ნატამალი; 4. ერისტიკა; 8. სუბმარინა; 9. მარმელადი; 11. „მარტინი“; 12. გეტა; 14. არვე; 16. „სიტროენი“; 17. კალაჰარი; 19. „ჯამილე“; 21. რისკი.

თარაზულად: 5. ბატიბუტი; 6. მესაჯერო; 7. პოლიგლოტი; 10. ჩაქურა; 13. „ვერიკო“; 15. სტატორი; 18. „ვინილი“; 20. ნადალი; 22. ეჩმიადინი; 23. ენდშპილი; 24. ეკვადორი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. გუბაზი; 2 გალო; 3. ბაღდავაძე; 4. კინტო; 5. წახნაგი; 8. ნესტლე; 9. კარდინალი; 12. კონცხი; 14. ხუდონი; 16. აშარი.

თარაზულად: 1. გარპაგონი; 6. კაროლინა; 7. ბარნელა; 9. კინდღი; 10. თორა; 11. ოტიატრი; 13. ბახში; 15. ბოჰემა; 17. მეოტიდა; 18. მცხეთა; 19. ბოინგი; 20. ფილიპსი.

ამერიკა 20 წლის იაპონელმა დაიპყრო

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ნაომი ოსაკა:

– მოგებულ ფულს ოჯახს გავუგზავნი, ნათესავების ბედნიერება ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ახლა წავალ და გამოვიძინებ, ამ გამარჯვების განსაკუთრებულად აღნიშვნას არ ვაპირებ. შესაძლოა, ვიდეოთამაში ჩავრთო და ასე გავერთო. წვეულებების დიდი მოყვარული არ ვარ, თანაც ალკოჰოლს არ ვსვამ, არც გამისინჯავს – მე ხომ მხოლოდ 20 წლის ვარ.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

ასტროპროგნოზი

10 სექტემბრისათვის

ვერძი – ვარსკვლავების არაკეთილსაიმედო განლაგება ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებაზე მიუთითებს. ეს განსაკუთრებით მამაკაცებს ეხება. გამორიცხული არ არის ინფექციური დაავადებების გამწვავება. **კურო** – მიამიტობა, მიმნდობლობა დღეს დაგაზარალებთ. უმჯობესი იქნება, თუ საოჯახო საქმეებს მოაწესრიგებთ. **ტყუპები** – გელით ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება. წამოჭრილი პრობლემა დაუყოვნებლივ მოაგვარეთ. **კირჩხიბი** – წარმატებული დღეა. შესაძლოა, ძალზე სარფიანი შემოთავაზება მიიღოთ. იზრდება შემოქმედებითი პოტენციალი. **ლომი** – თავს სუსტად გრძნობთ. ეჭვიანობა და ბუტიაობა სერიოზულ ჩხუბში გადაიზრდება. **ქალწული** – დღის პირველი ნახევარი იღბლიანია. იაქტიურეთ. საღამოს მოსალოდნელია პატარა კამათი ახლობელთან. **სასწორი** – თუ წინდახედულობასა და დაკვირვებულობას გამოიჩენთ, შანსი მოგეცემათ, სერიოზულ წარმატებას მიაღწიოთ. წყენას გულში ნუ ჩაიტოვებთ. **ღრიანკალი** – შესაფერისი დროა სამომავლო გეგმებზე ფიქრისათვის, თუმცა პლანეტები გაფრთხილებენ – გულს ნურავის გადაუშლით. **მშვილდოსანი** – ახალი საქმის დაწყება სასიკეთო შედეგებს გამოიღებს. გელით პოზიტიური ცვლილება პირად ცხოვრებაში. **თხის რქა** – ავანტიურისტებს ერიდეთ. მათთან საქმის დაჭერა ყველა გეგმას ჩაგიშლით. ფიზიკურად ნუ გადაიტვირთებით. **მერწყული** – ჯანმრთელობის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. მოსალოდნელია ტრავმები, ასევე – ქრონიკული დაავადებების გამწვავება. **თევზები** – გათავისუფლდით მავნე ჩვევებისაგან. აკონტროლეთ საუბრის მანერა. საკუთარ თავს მცირე სიამოვნებაზე უარს ნუ ეტყვით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ცეკვის აკადემია თელა

გიწვევთ
სამეჯლისო-სპორტული
ცეკვების შესასწავლად

მსურველები მიიღებიან
ასაკობრივ ჯგუფებში;
ჩაწერა იწარმოებს 20 აგვისტოდან!
მისამართი: აკ.წერეთლის 126
Email: Academytela@yahoo.com
ტელ: 599-77-80-08

ქართული ანბანი გერმანული მედიის ფოკუსში მოექცა

4 ოქტომბერს ოფენბახის შრიფტის მუზეუმში ქართული ანბანისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნება, რომელიც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ და ხელოვნების სასახლემ მოამზადა.

ექსპოზიცია უკვე მოექცა გერმანული მედიის ყურადღების ცენტრში.



აი, რას წერს გერმანული ელექტრონული მედია მიმდინარე წლის 4 ოქტომბერს ოფენბახის შრიფტის მუზეუმში ქართული ანბანისადმი მიძღვნილ გამოფენაზე:

– თბილისი ჩემს ფიქრებში. შრიფტის ძველი და ახალი ხელოვნება საქართველოდან. საქართველო ფრანკფურტის წლევანდელი წიგნის ბაზრობის მასპინძელი ქვეყანაა. „თბილისი ჩემს ფიქრებში“ – გამოფენის ეს სახელწოდება, რომელიც, მართალია, შთაგონებულია ამერიკული ცნობილი სიმღერით „ჯორჯია ჩემს ფიქრებში“, ყურადღებას კავკასიის ქვეყნის კულტურულ ისტორიაზე ამახვილებს. აქ კი ძირითადი აქცენტი სწორედ ქართულ შრიფტზეა ფოკუსირებული, ის კარგად წარმოაჩენს ქართველების თვითმყოფად ლიტერატურულ გარემოს.

საქართველოს ხელოვნების სასახლესთან თანამშრომლობით ქართული შრიფტის ხელოვნება საზღვარგარეთ პირველად იქნება ნაჩვენები. ქვეყანას, რომელიც ევროპისა და აზიის გასაყარზე მდებარეობს, საკუთარი ენა და დამწერლობა გააჩნია. ამ მხრივ უძველესი ნიმუშები V საუკუნით თარიღდება. საყურადღებოა ისიც, რომ 2016 წელს იუნესკომ ქართული დამწერლობა მსოფლიოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეიტანა. მიუხედავად ასეთი აღიარებისა, საქართველოს კულტურული საგანძური მის ფარგლებს გარეთ მეტწილად ჯერ კიდევ უცნობია.

მდიდარი ექსპოზიცია ქართული ლიტერატურული კულტურის მრავალფეროვნებაზე მეტყველებს. ბეჭდური და ხელნაწერი ნიმუშები, V საუკუნის ლაპიდარული წარწერებიდან ვიდრე XI საუკუნის უძვირფასეს ხელნაწერებამდე, ასევე თანამედროვე ვიდეო კოლაჟები და კალიგრაფიული კომპოზიციები სრულ წარმოდგენას გვიქმნის ქართული დამწერლობის თავგადასავალზე. შუა საუკუნეების გრაგნილები და იშვიათი წიგნები კარგად ასურათებს XVI-XVIII საუკუნეების საქართველოს წარსულს.

ექსპოზიციის მშვენებაა 1629 წელს რომში დაბეჭდილი ქართულ-იტალიური ლექსიკონი და 1709 წელს მეფე ვახტანგ VI-ის ბრძანებით თბილისში გამოცემული ქართული სახარება. ტიპოგრაფიული ნამუშევრები კარგად ადასტურებს იმას, რომ ტიფლისი XX საუკუნის დასაწყისში ავანგარდიზმის სასიცოცხლო ცენტრი იყო.

გამოფენა ქართველი კალიგრაფების თანამედროვე ნამუშევრებით სრულდება. ისინი შთამბეჭდავად არიან დარბაზში წარმოდგენილნი. ამ მხრივ განსაკუთრებულ გარემოს სოფო კინწურაშვილის 33 ასო-ბგერისაგან შემდგარი ხელშესახები ობიექტები ქმნიან. ისინი შეზღუდული მხედველობის ადამიანებს გამოფენის აღქმის საშუალებას აძლევენ.

ადრიანო ჩელენტანო თბილისში არ ჩამოვა



თბილისში ელვის სისწრაფით გავარდა ხმა, 2019 წლის 3 მარტს საქართველოში 80 წლის ადრიანო ჩელენტანო კონცერტს გამართავსო. ამ ინფორმაციამ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, ზოგმა ამ ამბავს მითი უწოდა, ზოგმაც კი – რეალობა.

კონცერტის ორგანიზატორმა ფიქს გროუპმა ადრიანო ჩელენტანოს საქართველოში ჩამოსვლასთან დაკავშირებით ასეთი განცხადება გაავრცელა:

– ამბობენ, რომ ფრენის ეშინია, ამბობენ, რომ ასაკის გამო აღარც კონცერტებს მართავს და ვეღარც უკვდავ ჰიტებს ქმნის... ბოროტი ენების ფანტაზიას არც ახლა აქვს საზღვარი და შესაბამისად მსმენელი, რომელიც ჩელენტანოს გულშემატკივარია, ხშირადაა გულნატკენი.

ჩელენტანოს დისკოგრაფია 40 ალბომს მოიცავს. მათ შორის არის 29 სტუდიური, 3 ცოცხალი და 8 კომპილაციური დისკი. მომღერლის ყველაზე ცნობილი სიმღერები მილიონზე მეტი ასლის ოდენობით გაიყიდა.

3 მარტს ქართველ დედებისათვის და არა მხოლოდ მათთვის თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში ადრიანო ჩელენტანო თრიბიუთ ბენდი ადოლფო სებასტიანთან და სიმფონიურ ორკესტრთან ერთად ჩელენტანოს შოუს გამართავს.

მოგვიანებით კონცერტის ორგანიზატორებმა ტექსტიდან „ამბობენ, რომ ფრენის ეშინია, ამბობენ, რომ ასაკის გამო აღარც კონცერტებს მართავს და ვეღარც უკვდავ ჰიტებს ქმნის... ბოროტი ენების ფანტაზიას არც ახლა აქვს საზღვარი და შესაბამისად მსმენელი, რომელიც ჩელენტანოს გულშემატკივარია, ხშირადაა გულნატკენი“ – ამოიღეს.

ნოდარ დუმბაძის სახელობის თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელმა თათია პაქსაშვილმა კი ადრიანო ჩელენტანოს თბილისში ვიზიტთან დაკავშირებით ასეთი ისტორია გაიხსენა:

– 90-იანებში იყო ერთი ტურისტული კომპანია, სახელი არ მახსოვს. ტურისტული მარშრუტების გარდა, სხვა საქმიანობასაც ეწეოდა.

ახალი წლის ღამეს სპორტის სასახლეში ადრიანო ჩელენტანოს კონცერტის ბილეთებს ყიდდა. რა არ გავაკეთე, რომ ამ კონცერტზე დასასწრებად აკრედიტაცია მომეპოვებინა, ისინი კი გულში იცინოდნენ ალბათ. ბილეთები გაყიდეს. წინა ღამით სიცხემ ამიწია. მახსოვს, როგორ ვფერთხავდი თერმომეტრს, რომ კონცერტზე წავსულიყავი. დედაჩემი კი მიმტკიცებდა, ჩელენტანო არ დაფრინავს და, შესაბამისად, არ ჩამოვა, თვითმფრინავის პანიკური შიში აქვსო. ისე აგიხდათ ყველაფერი კარგი. ეს კომპანია აფერისტების შანტრაპა აღმოჩნდა. დატყდნენ და ხალხის ფულიც შეიტყაპუნეს. ეს ამბავი ერთმა აფიშამ გამახსენა, რომელიც მეგობრის კედელზე ვნახე. ხალხის შეცდომაში შეყვანა არ არის კარგი საქციელი.

ოპერის მომღერალმა ნინო სურგულაძემ დაადასტურა, რომ იტალიელი ვარსკვლავი არც ერთ ქვეყანაში არ ჩადის:

– ჩელენტანო არასოდეს არ ჩამოვა საქართველოში და საერთოდ არც სხვა რომელიმე ქვეყანაში. უკვე რამდენიმე წელია, მძიმე ფობია აქვს. ყველანაირ ტრანსპორტს ერიდება და, ფაქტობრივად, სახლიდან თითქმის აღარ გამოდის.

ამის შესახებ მისი წლების მეგობრისგან და მისი ნამდვილი ორეულისგან შევიტყვე შარშან იტალიაში. გული დამწყდა, ჩამოყვანა მინდოდა. ეს იტალიელი ორეული ბავშვობიდან მეგობრობს მასთან და ყველაზე ცნობილია მის არაჩვეულებრივ განსახიერებაში. მინდოდა მისი ჩამოყვანაც, მაგრამ აღარ გადავწყვიტეთ, რადგან ორიგინალი ყოველთვის მაინც შეუცვლელია.

ნუკა კვალიაშვილი კუთვნილ ჰონორარს ითხოვს

მომღერალი ნუკა კვალიაშვილი კუთვნილ ჰონორარს ითხოვს:

– ჩემი მოთმინების ფიალა, რომელიც ძალიან დიდი ტევადობისაა, უკვე ივსება და სადაცაა გადმოვა.

4 დღეა, სტაციონარში მიწევს ბავშვი და ჩემ ადგილას ნებისმიერი ადამიანი თავზე დამაფარებდა ყველაფერს ისე, რომ ღირსი ვიქნებოდი, იმიტომ რომ 1000 წელია უკვე ჰონორარს ველოდები და რატომ უნდა ვისესხო ფული, როცა ვმუშაობ და ჩემით გამოვიმუშავე.

40 სიცხითა და გადასხმებით რომ გყავდეთ ბავშვი, როგორც ახლა მე მყავს და რაღაცა უაზრობებს რომ გელაპარაკებოდეთ დროის გასაწელად, ღირსი ვიქნები, რომ ყელი გამომჭრათ.

არავინ არ არის დებილი, ყველას თავისი მოთმინება აქვს და ზოგადად საზღვარი არსებობს რაღაცებში. მაინცდამაინც ნერვებისგან ამ დონეზე უნდა მივიდე, რომ ურთიერთობები ვაფუჭო, როცა ჩემი მხრიდან 24/7-ზე რაც არ უნდა იყოს, ამ დრომდე მეგობრული დამოკიდებულებისა და პატივისცემის შეგრძნების მეტს არავინ არაფერს ღებულობს...

ამოვიდა ყელში უკვე, სირცხვილია, მეტი არაფერი. პ.ს. კიდევ ვინმე თუ ჩემზე ნაწყენი დარჩება, დარჩით. იქით ვარ ნაწყენი და არამარტო... და ვისაც არ შევეხები არასოდეს, ეს არის დათო, რომელსაც ანალოგიური ნერვების დღლეზვის მეტი არაფერი ხვდება.

მართლა სირცხვილია... თანამშრომლობის სურვილს რომ უკარგავთ კოლეგებსა და ადამიანებს.

გოგა გველესიანი რუსთაველის თეატრიდან გაათავისუფლეს

მსახიობი გოგა გველესიანი რუსთაველის თეატრის 140-ე საიუბილეო სეზონიდან თეატრის თანამშრომელი აღარ არის. მსახიობი რუსთაველის თეატრიდან გაუშვეს.

ინფორმაცია ამის შესახებ გოგა გველესიანმა თავად გაავრცელა:

– ახლა მოგონებამ ამომიგდო 2002 წელს რემონტამდე გადაღებული სამახსოვრო ფოტო. ბევრი მსახიობი ამ ფოტოდან ცოცხალი აღარ არის... ბევრიც დათხოვილია თეატრიდან. მათ შორის თქვენი მონა-მორჩილიც....

140-ე საიუბილეო სეზონის გახსნა... რუსთაველის თეატრში ჩემი მოღვაწეობის ზუსტად 20 წლისთავზე გამიშვეს თეატრიდან...

გაუმარჯოს თეატრს!

ბათუმში საერთაშორისო კინოფესტივალის ლოგო დააზიანეს

ბათუმში 16 სექტემბერს საერთაშორისო კინოფესტივალი საზეიმოდ გაიხსნება. გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე კი ევროპის მოედანზე განთავსებული კინოფესტივალის სიმბოლო – ცხენთევზა დაუდგენელმა პირებმა დააზიანეს. კინოფესტივალის სიმბოლო ბათუმში რამდენიმე დღის წინ დამონტაჟდა.

ცხენთევზას დაზიანების გარდა, დაუდგენელმა პირებმა გარეგანათების ტრანსფორმატორიც მოიპარეს. საქმეში სამართალდამცველები ჩაერთნენ.

ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალი ფილმებს სწორედ ევროპის მოედანზე წარმოადგენს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ქალმა ლატარიაში მოგებაზე იხუმრა და მართლა მოიგო

ბრიტანეთის კემბრიჯშირის საგრაფოს ქალაქ უიტლსის მკვიდრი ქალბატონი მეუღლეს გაეხუმრა, როდესაც უთხრა, რომ არარსებულ ლატარიის გათამაშებაში მოიგო და მალე მან მართლაც გაიმარჯვა.

28 წლის შარლოტ პერტმა გადაწყვიტა, მეუღლე გაეთამაშებინა და მოუყვა, რომ ლატარიაში 250 ათასი ფუნტი სტერლინგი მოიგო. სამი კვირის შემდეგ მისი ხუმრობა სინამდვილედ იქცა: უკანასკნელმა ფუნტ-ნახევარმა სტერლინგმა, რომელიც მას ლატარიის ანგარიშზე ედო, ქალს მილიონი ფუნტი სტერლინგის მოგება მოუტანა.

მან ამის შესახებ სასწრაფოდ მეუღლეს დაურეკა და ტელეფონით ახარა, მაგრამ ქმარმა არც კი მოუსმინა.

– ერთი წამითაც კი არ დამიჯერებია მისი ნათქვამი, ვინაიდან ჩვენ ერთმანეთის

ასეთი სახით გამასხარავება გვიყვარს, – განმარტა ქალის მეუღლემ. მან ცოლის ზარზე უპასუხა, რომ არ ეცალა, დაკავებული იყო და ყურმილი თავის ძმას გადასცა. ის ნათქვამის სიმართლეში მხოლოდ მეუღლის მიერ გამოგზავნილმა მოგების თაობაზე შეტყობინებამ დაარწმუნა.

წყვილი მოგებული თანხით ახალი სახლის ყიდვას გეგმავს.

ჯალეიდოსკოპი

იტალიელი თავზე კატის დაცემის შედეგად საავადმყოფოში აღმოჩნდა

იტალიაში მამაკაცმა კატის პატრონს, რომელიც მას თავზე დაეცა და კისრის სერიოზული დაზიანება მიაყენა, სასამართლოში უჩივლა.

ინციდენტი ქალაქ ტურინში მოხდა. 56 წლის მამაკაცი ბაზარში მიდიოდა, როდესაც მას მერვე სართულის აივნიდან გადმოვარდნილი კატა დაეცა, რომელიც 5,8 კილოგრამს იწონიდა. შინაური ცხოველი ადგილზე დაიღუპა, ხოლო მამაკაცი სერიოზული ტრავმებით დაუყოვნებლივ გადაიყვანეს საავადმყოფოში. მას კისრისა და ხერხემლის სერიოზული დაზიანება დაუდგინეს.

იტალიელმა კატის პატრონს სასამართლოში უჩივლა. თავის სარჩელში მას შინაური ცხოველის მიმართ არასაკმარისი

კონტროლი და გაუფრთხილებლობით დაზიანების მიყენება დასდო ბრალად. ბრალდების მხარე მიიჩნევს, რომ ქალმა საკმარისი ზომები არ მიიღო იმისთვის, რომ კატის აივნიდან გადავარდნა არ დაეშვა. ქალს უკვე მოუხდა ჯარიმის გადახდა მუნიციპალიტეტის ხელისუფლებისთვის შინაური ცხოველის მიმართ გამოჩენილი უყურადღებობისთვის.

ძაღლმა მამაკაცს საფულე მოჰპარა

ჩინეთის ანხოის პროვინციის ქალაქ ანცინში პოლიციამ გამოავლინა ძაღლი, რომელმაც მამაკაცს საფულე ამოაცალა.

ქურდობის თაობაზე პოლიციას მამაკაცმა აცნობა, რომელმაც საბუთები, ბანკის ბარათები და ორი ათასი იუანი დაკარგა. მისი თქმით, მისი საფულე იმ დროს დაიკარგა, როდესაც ის ნაცნობებს ბანქოს ეთამაშებოდა. დაზარალებულმა დანაკარგი მოგვიანებით შენიშნა, და არ იცოდა, თუ ვის შეეძლო ის მისთვის მოეპარა.

მაგიდა, რომელთანაც მეგობრები ისხდნენ, პირდაპირ სათვალთვალო კამერის ქვეშ იდგა. პოლიციელებმა ჩანაწერი შეამოწმეს და აღმოაჩინეს, რომ საფულე მამაკაცს თავადვე დაუვარდა. მალე დახლის უკნიდან ორი ძაღლი გამოვიდა. მათ დინჯად შემოუარეს გარშემო მოთამაშეებს, ერთერთმა ძირს დაგდებული საფულე პირით აიღო და შემდეგ ორივე ქუჩაში გავიდა.

პოლიციელებმა ძაღლის საცხოვრებელი ადგილი იპოვეს და დაკარგულ საფულესაც მიაგნეს. საბუთები და ფული ადგილზე იყო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

10 სექტემბრისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6126

ევრო — 3.0395

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4019

100 რუსული რუბლი — 3.7699

ამინდის პროგნოზი 10 სექტემბრისთვის

იტალიაში პირველი სექსთოჯინების ბორდელი პოპულარობით სარგებლობს

იტალიაში ქვეყანაში პირველი სექსთოჯინების ბორდელი გაიხსნა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

დაწესებულება საკუთარ მისამართს არ ამხელს, თუმცა ცნობილია, რომ ის ტურინის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. კლიენტებს სილიკონის რვა თოჯინას სთავაზობენ: შვიდს – ქალისა და ერთს – მამაკაცის გარეგნობით. 30 წუთის ერთ-ერთ მათგანთან გატარება 80 ევრო ღირს. ყოველი სეანსის შემდეგ თოჯინას ორი საათის განმავლობაში საგულდაგულოდ რეცხავენ.

ბორდელის მფლობელები ამტკიცებენ, რომ მათ მომსახურებაზე უდიდესი მოთხოვნილებაა. მსურველები მათ ჯერ კიდევ დაწესებულების გახსნამდე მიმართავდნენ. ამის გამო მათი მუშაობის გრაფიკი უახლოეს კვირებზე წინასწარ არის გაწერილი.

– ჩვენ ერთი კვირით ადრე გვაქვს დაჯავშნილი, ზოგიერთი მცირე გამონაკლისით, – განაცხადა კომპანიის წარმომადგენელმა.

სამხრეთ აფრიკაში უხორთუმო სპლიყვი აღმოაჩინეს

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კრიუგერის ეროვნულ პარკში აღმოაჩინეს უხორთუმო სპლიყვი. ამ მოვლენის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

საფარი-პარკის თანამშრომლები ზუსტად ვერ ამბობენ, თუ როგორ დაკარგა პატარა ცხოველმა თავისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ორგანო. მათი ვარაუდით, ეს შესაძლოა ნიანგის ან ლომის თავდასხმის შედეგი იყოს, ან სპლიყვი ხორთუმით ხაფანგში მოყვა.

ეკოლოგები ცხოველის მდგომარეობით შეშფოთებული არიან, ვინაიდან ველურ ბუნებაში მისი გადარჩენის შანსი მინიმალურია. სპილოები ხორთუმს საკვების ასაღებად და პირში ჩასადებად იყენებენ. ისინი წყალსაც მისი დახმარებით სვამენ. ასე რომ, პატარა სპილოს მის გარეშე ცხოვრება ძალიან გაუჭირდება.

სტუდენტმა გოგონამ ბოტასებში ფული იპოვა

ბრიტანელმა სტუდენტმა გოგონამ ინტერნეტით შეძენილ ბოტასებში აღმოაჩინა კონვერტი, რომელშიც ათასი ფუნტი სტერლინგი იდო.

მანჩესტერელმა 19 წლის ემა გილმანმა ინტერნეტის დახმარებით სპორტული ფეხსაცმელი შეიძინა და მას შემდეგ, რაც მათში ფული აღმოაჩინა, მაშინვე გამყიდველს დაუკავშირდა. აღმოჩნდა, რომ საქონლის ყოფილმა მფლობელმა, ბრაიტონის მკვიდრმა ლორა ჰაზელდინმა, ბოტასებში ფული დამალა და მერე დაავიწყდა.

გილმანმა ფული მის ყოფილ მფლობელს გაუგზავნა და ნახევარ საათში ის უკვე ჰაზელდინს ჰქონდა. გამყიდველი გააოგნა ასეთმა პატიოსნებამ გოგონას.

– მან ადამიანების მიმართ რწმენა დამიბრუნა, – აღიარა ჰაზელდინმა და მადლიერების ნიშნად გოგონას ბოტასის ღირებულება დაუბრუნა.

ანეკდოტი

ორი ხანდაზმული მეგობარი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეუბნება:

– აბა, გავიხსენოთ ახალგაზრდობა და ქალებში წავიდეთ?

– წავიდეთ, მაგრამ უარი რომ გვითხრან?

– ეგ არაფერია, უბედურება ის იქნება, თუ დაგვთანხმდებიან.

●●●

სიდედრი ქუჩაში ველოსიპედს თავს დასტრიალებს. ამ დროს ფანჯრიდან სიძე გადმოსძახებს:

– საით აპირებთ?

– სასაფლაოზე მივდივარ.

– ეგ კარია, მაგრამ ველოსიპედს უკან ვინ მოიყვანს?

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ცოლმა მიმატოვა და ჩემს საუკეთესო მეგობარს გაჰყვა.

– რა ჰქვია შენ მეგობარს?

– არ ვიცი, მაგრამ ამიერიდან ის ჩემი საუკეთესო მეგობარია.

●●●

ქალი სახლში რეკავს და ქმარს ეკითხება:

– ალო, გივი, დღეს ჩვენთან ვინმე სულელს ხომ არ დაურეკავს?

– არა, პირველი შენ ხარ, ძვირფასო.

●●●

– ეკონომიკა ეკონომიური უნდა იყოს!

– რა თქმა უნდა, ისევე, როგორც ზეთი – ზეთური და ცხენი – ცხენური.

●●●

ბიჭი გოგოს ეუბნება:

– სულელი ხარ!

– სამაგიეროდ, ლამაზი ვარ.

– ვინ გითხრა?

– შენ...

– და შენც დაიჯერე?!

– რა თქმა უნდა!

– ჰოდა, სულელი ხარ!

– სამაგიეროდ, ლამაზი ვარ!

●●●

კაცი საწოლში წევს, ვერ იძინებს და ფიქრობს:

„არსებობს ღმერთი თუ არ არსებობს? და მაინც არსებობს? თუ მაინც არ არსებობს?.. თუ არსებობს?..“

ამ დროს ზევიდან ესმის:

– არ ვარსებობ, არა! დაიძინე რა!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

BOAI

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

ანშენი ბუსინ ვან

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა

სიაო ჰუო ლუო დან

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

გოგონას ფრჩხილების კვნეტის ჩვევა თითის დაკარგვად დაუჯდა

სტუდენტმა გოგონამ კორტნი უიტორნმა ხელის თითი იმის გამო დაკარგა, რომ ფრჩხილების კვნეტა ჩვევად ჰქონდა გადაქცეული.

20 წლის გოგონამ აღიარა, რომ ფრჩხილების კვნეტას იმ დროს იწყებდა, როდესაც თავს კარგად ვერ გრძნობდა და რამის მიმართ შიში უჩნდებოდა. ეს განსაკუთრებით სკოლაში ხდებოდა, ვინაიდან ხშირად იყო თავდასხმის ობიექტი. როდესაც მისმა თითმა გაშვება დაიწყო, ძალიან შეშინდა, მაგრამ გადაწყვიტა, ოჯახისა და მეგობრებისგან დაემალა. ასე გრძელდებოდა ოთხი წელი.

როდესაც გოგონამ საბოლოოდ მაინც გადაწყვიტა, ექიმისთვის მიემართა, გაირკვა, რომ მას აკრალურ-ლენტიგინოზური მელანომა ჰქონდა. გოგონა ფსიქოლოგიური ფაკულტეტის მეორე კურსზე სწავლობდა, მაგრამ იძულებული გახდა, ერთწლიანი შესვენება აეღო, ვინაიდან წერას ვერ ახერხებს. მან უკვე ოთხი ოპერაცია გადაიტანა.

ანტიბიოტიკებმა ამერიკელს ენაზე თმა ამოუყვანა

აშშ-ში უმკურნალეს ქალს, რომელსაც ენა შავი თმით ჰქონდა დაფარული. ასეთი უიშვიათესი დაავადება მას ანტიბიოტიკების მიღების შედეგად განუვითარდა.

55 წლის ქალბატონი საავადმყოფოში ავარიის შემდეგ აღმოჩნდა. მას ფეხები სერიოზულად დაუზიანდა და ჭრილობები დაუჩირქდა. ინფექციის გავრცელების შესაჩერებლად ექიმებმა ანტიბიოტიკ „მინოციკლინის“ რამდენიმე ინექცია გაუკეთეს. ერთი კვირის შემდეგ ქალს ენა გაუშავდა და თმით დაეფარა. ის გულისრევის შეგრძნებასა და პირში უსიამოვნო გემოს უჩიოდა.

მისი მკურნალი ექიმის იასირ ჰამადის თქმით, 20 წლის პრაქტიკაში ასეთ შემთხვევასთან პირველად აქვს საქმე. მან გაოგნებული ქალი ანუგეშა, რომ მიუხედავად ცუდი შესახედაობისა, მისი დაავადება მკურნალობას ექვემდებარებოდა. ჰამადმა პაციენტი სხვა ანტიბიოტიკით მკურნალობაზე გადაიყვანა და ერთ თვეში ქალის ენამ ისევ ბუნებრივი ფერი დაიბრუნა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განაწყენებული სასიძო ყოფილი საცოლისგან ხუთი წელი ბეჭდის დაბრუნებას მოითხოვდა



აშშ-ში, როგორც იქნა, დასრულდა სასამართლო პროცესი, რომელიც ხუთი წელი გრძელდებოდა. მიტოვებული საქმრო ცდილობდა, სასამართლოს ძალით დაებრუნებინა ნიშნობის ბეჭედი და საბოლოოდ თავისას მიაღწია.

2011 წელს 54 წლის როდნი რიპლიმ ხელის სთხოვა თავის 50 წლის შეყვარებულ ჯენიფერ რატენს, რომელიც იმ დროს წითელი ჯვრის ორგანიზაციაში მუშაობდა. მამაკაცმა ქალს სამკარატიანი ბრილიანტის ბეჭედი აჩუქა, რომელიც 39 ათასი დოლარი ღირდა. ეს მან ნიუ იორკის ბრუკლინის ხიდზე გააკეთა, თუმცა ორი წლის შემდეგ რატენმა ის მიატოვა. განაწყენებულმა რიპლიმ ბეჭდის დაბრუნება მოითხოვა, ხოლო როდესაც ქალისგან უარი მიიღო, ნიუ იორკის უზენაეს სასამართლოში სარჩელი შეიტანა.

რატენის ადვოკატი ამტკიცებდა, რომ ბეჭედი 13 ათას დოლარზე ნაკლები ღირდა, მაგრამ ყოფილი საქმროს ადვოკატმა წარმოადგინა ქვითარი და დაამატა, რომ რიპლის ბეჭედი 40 ათას დოლარად ჰქონდა დაზღვეული.

ნიუ იორკის კანონმდებლობის თანახმად, თუ ქორწინება გაფორმებული არ ყოფილა, საცოლე ვალდებულია, ბეჭედი დააბრუნოს, ამასთან, დაშორების მიზეზს მნიშვნელობა არ აქვს. რატენი ცდილობდა, მოსამართლე დაერწმუნებინა, რომ მათ ერთმანეთი ვისკონსინის შტატის ქალაქ მილუოკში გაიცნეს და იქვე დაშორდნენ, სადაც სასამართლოს იურისდიქცია არ ვრცელდება. ამის შემდეგ ის აცხადებდა, რომ მათი ურთიერთობის დროს რიპლი მის მიმართ აგრესიულად იქცეოდა, თუმცა ამის დამადასტურებელი ვერც ერთი საბუთი ვერ წარადგინა და სასამართლომ მისი საჩივარი უარყო. საბოლოოდ სასამართლომ დაადგინა, რომ ქალი ვალდებულია, 45 დღის ვადაში დაუბრუნოს ყოფილ საქმროს ან ბეჭედი, ან მისი სრული ღირებულება აუნაზღაუროს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა



ჯოსვოხდი

თარაზულად: 4. დროებითი სადგომი; 5. დარაჯის ადგილი; 6. აზელილი კარტოფილი; 7. ხრიკები რამე მიზნის მისაღწევად; 8. ფართო მოხმარების საგნებისთვის სავაჭრო ადგილი; 10. ასაფეთქებელი ჭურვი; 13. მდინარის პატარა თევზი; 15. გერმანელი კომპოზიტორი (XIX ს.); 16. ტროპიკული ხილი; 17. ლანგარი; 20. შვეული, ციცაბო კლდე; 21. დასახლებული პუნქტი; 22. ოპერის სიტყვიერი ტექსტი; 23. საჭიდაო ჭილოფის ხალიჩა.

შვეულად: 1. წაგრძელებულდრუნჩიანი მაიმუნი; 2. სახლის შესასვლელი; 3. მჭევრმეტყველების თეორია; 4. ყოველი მხრიდან წყლით შემოსაზღვრული ხმელეთის ნაწილი; 5. საზეიმო მისალმება ქვემეხების ზალპით; 9. ქალ-ვაჟის ურთიერთობა; 11. ლომის ნაშიერი; 12. იაპონელ იმპერატორთა წოდება; 14. ლასლასი, ბარბაცი; 18. დახრილი, ალმაცერი; 19. ბანქო.

შეადგინა ოლივერ კოხიამ